განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

„მეწარმეობისა და ინოვაციების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

შპს საქართველოს უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	**საქართველოს უნივერსიტეტი, შპს**
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	**205037137**
დაწესებულების სახე	**უნივერსიტეტი**

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	**მეწარმეობა და ინოვაციები**
უმაღლესი განათლების საფეხური	**მაგისტრატურა**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	**მენეჯმენტის მაგისტრი**
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	**0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება**
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით სიხარულიძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თორნიკე ხოშტარია, შპს უნივერსიტეტი გეომედი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამთა ლეკიშვილი, შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია,	ბექა მარუაშვილი, გაერთიანებული

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ქვეყანა)	ლოგისტიკური კომპანია საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ტალიკაძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

შპს საქართველოს უნივერსიტეტში ინერგება მეწარმეობა და ინოვაციების სამაგისტრო პროგრამა, რომლის მიზანია სტუდენტებს გამოუმუშავდეთ მაღალი რგოლის მენეჯერად მუშაობისთვის საჭირო უნარები და მზად იყვნენ მეწარმეობის, ინოვაციების და მენეჯმენტის სფეროში დამოუკიდებელი, რელევანტური ბიზნეს გადაწყვეტილების მისაღებად. ამასთანავე, პროგრამა გამოუმუშავებს და განუვითარებს მაგისტრებს სტარტაპისა თუ არსებული კომპანიისთვის პერსპექტიული ტექნოლოგიების, ტენდენციების და მიმართულებების განსაზღვრის უნარებს.

პროგრამა საშუალებას აძლევს კურსდამთავრებულებს გამოიმუშაონ პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რაც ხელ შეუწყობს მათ დასაქმებას, როგორც საშუალო, ასევე ზედა რგოლში კომპანიებში. პროგრამის მიზნები სრულად შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ გვერდზე.

საგანანმანათლებლო პროგრამა შედგენილია დაწესებულებაში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით,

საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობაა 120 კრედიტი. აქედან 110 კრედიტი (ECTS) არის სავალდებულო კომპონენტი (რაც მოიცავს: 65 ECTS სასწავლო კურსები, 15 ECTS პრაქტიკა, 30 ECTS სამაგისტრო პროექტი); დანარჩენი 10 კრედიტი კი მოიცავს პროგრამის არჩევით საგნებს მისანიჭებელი კვალიფიკაციაა მენეჯმენტის მაგისტრი (0413).

სწავლების ბოლო სემესტრი ეთმობა სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობას, რომელიც პროგრამის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2022 წლის 14 ივნისს. ვიზიტამდე, 13 ივნისს გაიმართა წინა მოსამზადებელი შეხვედრა, შეხვედრას ესწრობოდნენ დავით სიხარულიძე, თორნიკე ხოშტარია, თამთა ლეკიშვილი, ნინო ტალიკაძე, ბექა მარუაშვილი. თითოეული სდანტარტის მიხედვით განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა ვიზიტის მსვლელობისას ინტერვიუს პროცესში პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. 14 ივნისს საქართველოს უნივერსიტეტში ვიზიტის ფარგლებში 10:00 საათიდან. სამუშაო განრიგის მიხედვით შედგა შეხვედრა/გასაუბრება ადმინისტრაციასთან (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, საერთაშორისო აკრედიტაციის განყოფილების უფროსი, ანალიტიკისა და მონიტორინგის განყოფილების უფროსი, ავტორიზაციის განყოფილების უფროსი), თვითშეფასების ჯგუფთან, სტუდენტებთან, ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან. ასევე, ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, სააუდიტორიო ოთახები, ლაბორატორიები, კაბინეტები და ა.შ) დათვალიერება. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა შეეფასებინა პროგრამები თითოეული სტანდარტის მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

მეწარმეობისა და ინოვაციების სამაგისტრო პროგრამა, საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით:

პირველი სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან,

1.1 კომპონენტი სრულ შესაბამისობაშია,

1.2 კომპონენტები მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტთან.

მეორე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან,

2.1 კომპონენტი სრულ შესაბამისობაშია

2.2 კომპონენტი ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტთან.

2.3 კომპონენტი მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტთან.

2.4 კომპონენტი სრულ შესაბამისობაშია

2.5 კომპონენტი სრულ შესაბამისობაშია

2.6 კომპონენტი მეტწილ შესაბამისობაშია

მესამე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან,

3.1 კომპონენტი სრულ შესაბამისობაშია

3.2 კომპონენტი სრულ შესაბამისობაშია

მეოთხე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.1 კომპონენტი მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტთან.

4.2 კომპონენტი სრულ შესაბამისობაშია

4.3 კომპონენტი სრულ შესაბამისობაშია

4.4 კომპონენტი სრულ შესაბამისობაშია

მეხუთე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.1 კომპონენტი სრულ შესაბამისობაშია

5.2 კომპონენტი სრულ შესაბამისობაშია

5.3 კომპონენტი მეტწილ შესაბამისობაშია

რეკომენდაცია

პირველი სტანდარტი

- რეკომენდებულია სწავლის შედეგების შეფასების გეგმის და სწავლის შედეგების შეფასების რუკის დახვეწა;
- რეკომენდებულია პროგრამის აკადემიურ და მოწვეული პერსონალთან აქტიური მუშაობა პროგრამის სწავლის შედეგების და სწავლის შედეგების შეფასების მეთოდების უკეთ გაცნობის მიზნით;

მეორე სტანდარტი

- რეკომენდებულია მკაფიოდ განისაზღვროს და შემუშავდეს ბერკლის უნივერსიტეტის Sutardja Center for Entrepreneurship and Technology (SCET) ცენტრთან პარტნიორობის ფარგლებში სასწავლო პროცესის მართვის მარეგულირებელი მექანიზმი ,,მეწარმეობისა და ინოვაციების“ სამაგისტრო პროგრამით დაინტერესებული სტუდენტებისათვის გამჭირვალობის უზრუნველყოფის მიზნით და პროგრამის განხორციელებისას გათვალისწინებულ იქნას ამ სფეროში საქართველოში მოქმედი მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმატიული აქტები.
- რეკომენდებულია ძირითად სწავლის სფეროს დაემატოს მიწოდების ჯაჭვის მართვის სასწავლო კურსი;

- „რეკომენდებულია სასწავლო კურსების ,,ადამიანური რესურსების მართვა ინოვაციებსა და მეწარმეობაში“ შინაარსის დახვეწა სამაგისტრო საფეხურთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.
- რეკომენდებულია მკაფიოდ განისაზღვროს ის სასწავლო კურსები, რომელიც ბერკლის უნივერსიტეტის SCET ცენტრთან თანამშრომლობის ფარგლებში ,,მეწარმეობისა და ინოვაციების სამაგისტრო პროგრამაში არის გათვალისწინებული“.
- რეკომენდებულია იმ სასწავლო კურსის სილაბუსებში, რომლებსაც სტუდენტები გაივლიან ბერკლის SCET ცენტრში, შეფასებებში აისახოს შესაბამისი განმარტება, თუ როგორ ხდება შუალედური და დასკვნითი შეფასებების მოპოვება მოცემულ საგანში.

მეოთხე სტანდარტი

- რეკომენდებულია პროგრამის განხორციელება დაიწყოს გაზრდილი აკადემიური პერსონალით მდგრადობასთან დაკავშირებული რისკების შემცირების მიზნით.

მეხუთე სტანდარტი

- რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი ითვალისწინებდეს წარმოდგენილი პროგრამის სპეციფიკას სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და შესაბამისად მიღებული სწავლის შედეგების შეფასებისას.

რჩევა

- სასურველია არჩევითი სასწავლო კურსების რაოდენობის გაზრდა
- სასურველია ზოგიერთი სასწავლო კურსის გამოყენებული ლიტერატურის განახლება
- სასურველია, სასწავლო კურსის „ციფრული მეწარმეობა და კომპიუტერული უსაფრთხოება“ კვირეულ ჩაშლაში შემთხვევის პრობლემის აღმოფხვრასა და შემთხვევის შესწავლა-პრევენციას მიეთითოს ინდივიდუალური შეფასების ქულა. მსგავსად, სასწავლო კურსებში „სტრატეგიული მენეჯმენტი ტექნოლოგიურ ინოვაციებში“ და „ლიდერობა მეწარმეობაში“, სასურველია დაკონკრეტდეს ცალ-ცალკე ჯგუფური პრეზენტაციისა და ჯგუფური მუშაობის ქულობრივი განაწილება.
- სასურველია, რომ სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შესრულების ინსტრუქცია, შეფასების კომპონენტები მოერგოს მოცემული სამაგისტრო პროგრამის სპეციფიკას, როგორც ეს დაწესებულებას აქვს გაკეთებული შემდეგი პროგრამებისთვის: „ბიზნესის ადმინისტრირება“, „განათლების ადმინისტრირება“, სამართლის სკოლის და სამედიცინო პროგრამებისთვის.
- სასურველია, დაწესებულებამ/ფაკულტეტმა პროგრამის ფარგლებში აამოქმედოს დამატებითი სტიმულირების მექანიზმები, რათა ხელი შეუწყოს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში, საერთაშორისო კონფერენციებში.
- სასურველია სტუდენტებს ჰქონდეთ მეტი ინფორმაცია გამოკითხვათა შედეგების გამოყენების შესახებ.

- სასურველია წარმოდგენილ დოკუმენტებში ჩანდეს პარტნიორი უნივერსიტეტის მხრიდან პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის ვინაობა და ის თუ ვინ რა საგანს წაიკითხავს.
- სასურველია, გარე შეფასებებით მოხდეს გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება, შეფასებები იყოს უფრო დეტალური, სიღრმისეული და გვაძლევდეს ნათელ სურათს.
- სასურველია ანგარიშების მომზადება, სადაც აისახება დაინტერესებულ მხარეთა და ხარისხის სამსახურის მიერ გაცემულ რეკომენდაციებზე რეაგირებები.
- სასურველია სამაგისტრო სწავლების დებულებაში გაიწეროს თუ რამდენ მაგისტრანტს შეუძლია უხელმძღვანელოს ერთმა პირმა.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

  - დაწესებულებაში მოქმედი „Startup Factory", სადაც შესაძლებელია ინოვაციური ბიზნეს იდეის განვითარების და შემდგომში დაფინანსება მოძიება.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

არგუმენტირებული პოზიციისა და მტკიცებულების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

დაკორექტირდა რეკომენდაცია „რეკომენდებულია სასწავლო კურსების ,,ადამიანური რესურსების მართვა ინოვაციებსა და მეწარმეობაში" და ,,მარკეტინგი და გაყიდვები მეწარმეობას და ინოვაციებში" შინაარსის დახვეწა სამაგისტრო საფეხურთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ასევე სასწავლო კურსში ,,მარკეტინგი და გაყიდვები მეწარმეობასა და ინოვაციებში" რეკომენდებულია გაძლიერდეს გაყიდვების საკითხები.

აღნიშნული რეკომენდაცია ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „რეკომენდებულია სასწავლო კურსების ,,ადამიანური რესურსების მართვა ინოვაციებსა და მეწარმეობაში" შინაარსის დახვეწა სამაგისტრო საფეხურთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

საფუძველია დაწებულების მიერ წარმოდგენილი სასწავლო კურსის სილაბუსი ,,,მარკეტინგი და გაყიდვები მეწარმეობასა და ინოვაციებში" , რომლის შინაარსი გაუმჯობესებულია და გაძლიერებულია გაყიდვების საკითხები.

ამას გარდა არგუმენტირებული პოზიციის საფუძველზე მოიხსნა შემდეგი რეკომენდაცია:

- რეკომენდებულია აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის გაძლიერება და სამეცნიერო პოტენციალის ამაღლება;
- რეკომენდებულია სამაგისტრო სწავლების დებულებაში დეტალურად გაიწეროს თუ ვინ შეიძლება იყოს მაგისტრანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი და რამდენ მაგისტრანტს შეუძლია უხელმძღვანელოს ერთმა პირმა.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
მეწარმეობისა და ინოვაციების სამაგისტრო საგანანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში საგანმანათლებლო პროგრამის) მიზანია მაგისტრებს გამოუმუშავდეთ მაღალი რგოლის მენეჯერად მუშაობისთვის საჭირო უნარები და მზად იყვნენ მეწარმეობის, ინოვაციების და მენეჯმენტის სფეროში დამოუკიდებელი, რელევანტური ბიზნეს გადაწყვეტილების მისაღებად. ამასთანავე, პროგრამა გამოუმუშავებს და განუვითარებს მაგისტრებს სტარტაპისა თუ არსებული კომპანიისთვის პერსპექტიული ტექნოლოგიების, ტენდენციების და მიმართულებების განსაზღვრის უნარებს. საქართველოს უნივერისტეტის სამაგისტრო პროგრამა „მეწარმეობა და ინოვაციები“ -ს მიზანი დარგის შესაბამისად არის ფორმულირებული. აღნიშნულში მარტივად იკითხება თუ რა ცოდნით, კომპეტენციებით და უნარებით იქნება პროგრამის კურსდამთავრებული აღჭურვილი. ამასთან, პროგრამის მიზანი თანხვედრაშია უნივერსიტეტის მისიის განაცხადთან (https://www.ug.edu.ge/ge/mission-vision). მეწარმეობა და ინოვაციების სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდგომ, კურსდამთავრებულს ენიჭება მენეჯმენტის მაგისტრის კვალიფიკაცია. მიზნის ანალიზიდან ჩანს, რომ პროგრამის მიზანი არის რეალისტური, მიღწევადი და ნათელად არის ჩამოყალიბებული. პროგრამის შემუშავებას წინ უსწრებდა შრომის ბაზრის ანალიზი. ,,მეწარმეობა და ინოვაციების ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის ბაზრის კვლევისთვის შეირჩა საქართველოში არსებული მსხვილი ბანკების (მენეჯერები) წარმომადგენლები, საქართველოში მოქმედი Start-up-ების წარმომადგენლები და ასევე კვლევის ფარგლებში გამოიკითხა საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს წარმომადგენლები. რესპოდენტებს დაურიგდათ ღია კითხვებისგან შემდგარი კითხვარი“. დაწესებულების ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს ინტერნაციონალიზაცია. ამ მხრივ დაწესებულება თანამშრომლობს მრავალ უცხოურ უმაღლეს სასწავლებლებთან. ამ თანამშრომლობის ფარგლებში ხდება, როგორც აკადემიური პერსონალის ასევე სტუდენტების ჩართვა ინტერნაციონალიზაციის პროცესში. ვიზიტის მსვლელობისას გაირკვა, რომ პროგრამის საჯაროობის კუთხით ფაკულტეტის

მხრიდან იგეგმებოდა საინფორმაციო გაცნობითი შეხვედრა პარტნიორი უნივერსიტეტის წარმომადგენლის ჩართულობით (პოსტერი).
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ მეწარმეობისა და ინოვაციების სამაგისტრო პროგრამა; ○ უსდ-ს მისია ○ შრომის ბაზრის ანალიზი ○ უსდ-ს ვებ გვერდი: https://www.ug.edu.ge/ge ○ გასაუბრების შედეგები
რეკომენდაციები: ○
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება o ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;

- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

„მეწარმეობა და ინოვაციების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის მიზნებსა და სწავლის შედეგებს შორის მიმართება მოცემულია სწავლის მიზნებისა და შედეგების შესაბამისობის რუკით. პროგრამის მიზანია უზრუნველყოს ,,ინოვაციებისა და ტექნოლოგიების მაგისტრანტებს მაღალი რგოლის მენეჯერად მუშაობისთვის საჭირო უნარები და მოამზადოს მეწარმეობის, ინოვაციების და მენეჯმენტის სფეროში დამოუკიდებელი, რელევანტური ბიზნეს გადაწყვეტილების მისაღებად. ამასთანავე, პროგრამა გამოუმუშავებს და განუვითარებს მაგისტრანტებს სტარტაპისთვის თუ არსებული კომპანიისთვის პერსპექტიული ტექნოლოგიების, ტენდენციების და მიმართულებების განსაზღვრის უნარებს“. აღნიშნული მიზნის ფარგლებში ჩამოყალიბებულია 10 სწავლის შედეგი. სწავლის შედეგებსა და სასწავლო კურსებს შორის მიმართება მოცემულია სწავლის შედეგების რუქით. სწავლის შედეგების მიღწევა ხდება შემდეგი დონეებით: გაცნობა, გაღრმავება და განმტკიცება. მთლიანობაში პროგრამის სწავლის შედეგები არის გაზომვადი, მიღწევადი, რეალისტური. შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. სწავლის შედეგებსა და სასწავლო კურსებს შორის, ასევე სწავლის შედეგების მიღწევის ლოგიკური კავშირი მეტნაკლებად დაცულია. თუმცა, ზოგიერთ სწავლის შედეგსა და სასწავლო კურსს შორის მიმართებასთან გვაქვს მოსაზრებები.

სწავლის შედეგების რუკის მიხედვით **პირველი სწავლის შედეგის ,,იყენებს კომუნიკაციისა და ლიდერულ უნარებს ორგანიზაციის მართვასა და პროცესში ჩართულ პირებთან კომუნიკაციაში; იძენს ინოვაციურ პროექტში კადრების მოზიდვისა და მართვის პრაქტიკული გამოცდილებას“** მიღწევას ემსახურება შემდეგი სასწავლო კურსები: პროდუქტების მენეჯმენტი, სტრატეგიული მენეჯმენტი ტექნოლოგიურ ინოვაციებში, პიროვნული უნარები და თვისებები მეწარმეებისთვის, ადამიანური რესურსების მართვა ინოვაციებსა და მეწარმეობაში, პრე-აქსელერაცია, აქსელერაცია, სამაგისტრო ნაშრომი/ პროექტი, ლიდერობა მეწარმეობაში. თუმცა, ვფიქრობთ, რომ პირველი სწავლის შედეგის მიღწევის ლოგიკა გაუგებარია, კერძოდ სასწავლო კურსით **,,პროდუქტის მენეჯმენტი“ ხდება მოცემული სწავლის შედეგის გაცნობა,** სასწავლო კურსით **,,ადამიანური რესურსების მართვა ინოვაციებსა და მეწარმეობაში“** - გაღრმავება. აღნიშნული საგანი ისწავლება მეორე სემესტრში. სასწავლო კურსით ,,სტრატეგიული მენეჯმენტი ტექნოლოგიურ ინოვაციებში - გაცნობა. მაშინ როდესაც აღნიშნული საგანი ისწავლება მესამე სემესტრში, ხოლო სასწავლო კურსით ,,ლიდერობა მეწარმეობაში“ ხდება სწავლის შედეგის გაღრმავება და აღნიშნული ისწავლება მე-2 სემესტრში. ანუ ამ ლოგიკით მოცემული სწავლის შედეგის მიღწევა ხდება ჯერ გაცნობით, შემდეგ გაღრმავებით, შემდეგ ისევ გაცნობით, შემდეგ გაღრმავებით და ბოლოს განმტკიცებით. სწავლის შედეგების მიღწევის ლოგიკა შემდეგი თანმიმდევრობით უნდა ხორციელდებოდეს: გაცნობა, გაღრმავება და განმტკიცება.

მეორე სწავლის შედეგის ,,ჩამოთვლის და აღწერს ინოვაციურ საწარმოში ფინანსების მოზიდვისა (Angel/Venture Financing) და მართვის მეთოდებს“ მიღწევას ემსახურება“ შემდეგი სასწავლო კურსები: ფინანსები მეწარმეებისათვის, სტრატეგიული მენეჯმენტი ტექნოლოგიურ ინოვაციებში, ინვესტიციები-სარისკო კაპიტალი, კერძო კაპიტალი და

ფონდები, აქსელერაცია, სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი. თუმცა, აღნიშნულ სწავლის შედეგთან მიმართებით ლოგიკა არის დარღვეული, კერძოდ სასწავლო კურსით ,,აქსელერაციით“ ხდება სწავლის შედეგის გაღრმავება, რომელიც ისწავლება მეორე სემესტრში, ხოლო სასწავლო კურსით ,,ფინანსები მეწარმეებისათვის“ ხდება სწავლის შედეგის გაცნობა, რომელიც ისწავლება მესამე სემესტრში. ანუ აღნიშნული ლოგიკით სწავლის შედეგის მიღწევა ხდება ჯერ გაღრმავებით, შემდეგ გაცნობით, შემდეგ ისევ გაღრმავებით და განმტკიცებით, მაშინ როდესაც სწავლის შედეგების მიღწევის ლოგიკა შემდეგი თანმიმდევრობით უნდა ხორციელდებოდეს: გაცნობა, გაღრმავება და განმტკიცება.

მესამე სწავლის შედეგის ,,განმარტავს მეწარმეობაში არსებულ კანონმდებლობას და რეგულაციებს“ მიღწევას ემსახურება შემდეგი სასწავლო კურსები: პროდუქტების მენეჯმენტი, კანონმდებლობა და რეგულაციები მეწარმეობასა და ინოვაციებში, სამაგისტრო ნაშრომი/ პროექტი. თუმცა, გაუგებარია სასწავლო კურსი ,,პროდუქტის მენეჯმენტი“ თავისი სწავლის მიზნით, სწავლის შედეგებით, შინაარსით და გამოყენებული ლიტერატურით როგორ გადის ამ სწავლის შედეგზე.

მეოთხე სწავლის შედეგის ,,აჩვენებს სისტემურ ცოდნას ინოვაციური პროდუქტის/სერვისის/პროცესის PR და მარკეტინგისთვის საჭირო სტრატეგიებთან მიმართებით“ მიღწევას ემსახურება მარკეტინგი და გაყიდვები მეწარმეობასა და ინოვაციებში, სტრატეგიული მენეჯმენტი ტექნოლოგიურ ინოვაციებში. თუმცა სწავლის შედეგის მიღწევის ლოგიკა როგორც პირველ და მეორე სწავლის შედეგის შემთხვევაში აქაც დარღვეულია.

მეხუთე სწავლის შედეგის, ,,აქვს მეწარმეობისთვის საჭირო (ე.წ. Soft Skills) უნარები: კრეატიულობა, კრიტიკული აზროვნება, გუნდური მუშაობის, კომუნიკაციის და კოლაბორაციის უნარები, კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის უნარი“ მიღწევას ემსახურება სტრატეგიული მენეჯმენტი ტექნოლოგიურ ინოვაციებში, პიროვნული უნარები და თვისებები მეწარმეებისთვის, პრე-აქსელერაცია, აქსელერაცია, ლიდერობა მეწარმეობაში. აღნიშნული სწავლის შედეგის შემთხვევაშიც სწავლის შედეგის მიღწევის თანმიმდევრული ლოგიკა დარღვეულია.

მეექვსე სწავლის შედეგის ,, ადგენს ინოვაციური პროდუქტის/სერვისის/პროცესის ბიზნეს მოდელისა და ბიზნეს გეგმას და ეფექტურად განვითარებას“ მიღწევას ემსახურება შემდეგი სასწავლო კურსები: პროდუქტების მენეჯმენტი, პროდუქტების დიზაინი, მარკეტინგი და გაყიდვები მეწარმეობასა და ინოვაციებში, სტრატეგიული მენეჯმენტი ტექნოლოგიურ ინოვაციებში, პრე-აქსელერაცია, აქსელერაცია.

მეშვიდე სწავლის შედეგის ,,ობიექტურად აანალიზებს ინოვაციურ პროექტსა თუ სტარტაპში არსებულ მდგომარეობას; მიღებულ პრაქტიკულ გამოცდილებას იყენებს ორგანიზაციის საქმიანობის პრინციპების, ცვლილება-გაუმჯობესების შეტანისთვის საჭირო გადაწყვეტილების მისაღებად (PIVOT, LEAN, AGILE)“ მიღწევას ემსახურება: ბიზნეს ანალიტიკა, ტექნოლოგიური ტენდენციები, ტრენდები და გლობალური

გამოწვევები, მარკეტინგი და გაყიდვები მეწარმეობასა და ინოვაციებში, ფინანსები მეწარმეებისათვის, სტრატეგიული მენეჯმენტი ტექნოლოგიურ ინოვაციებში, პიროვნული უნარები და თვისებები მეწარმეებისთვის, პრე-აქსელერაცია, აქსელერაცია, სამაგისტრო ნაშრომი/ პროექტი.

მერვე სწავლის შედეგის ,,ეფექტიანად აფასებს პროგრამირების ტექნოლოგიების და მომხმარებელზე ორიენტირებული პროდუქტის დიზაინს (UI/UX)" მიღწევას ემსახურება შემდეგი სასწავლო კურსები: პროდუქტების მენეჯმენტი, ბიზნეს ანალიტიკა, ტექნოლოგიური ტენდენციები, ტრენდები და გლობალური გამოწვევები, სტრატეგიული მენეჯმენტი ტექნოლოგიურ ინოვაციებში, პიროვნული უნარები და თვისებები მეწარმეებისთვის, აქსელერაცია, სამაგისტრო ნაშრომი/ პროექტი. ამ შემთხვევაშიც დარღვეულია სწავლის შედეგის მიღწევის ,,გაცნობა, გაღრმავება და განმტკიცების" ლოგიკა, კერძოდ პროდუქტის მენეჯმენტით ხდება გაცნობა, რომელიც ისწავლება მეორე სემესტრში, ბიზნეს ანალიტიკით გაღრმავება, რომელიც ისწავლება პირველ სემესტრში.

მეცხრე სწავლის შედეგის თანამედროვე მიდგომების გამოყენებით, დამოუკიდებლად წარმართავს ინოვაციური პროექტის განხორციელებისთვის საჭირო კვლევას" მიღწევას ემსახურება: პროდუქტების მენეჯმენტი, ბიზნეს ანალიტიკა, ტექნოლოგიური ტენდენციები, ტრენდები და გლობალური გამოწვევები, ფინანსები მეწარმეებისათვის, სტრატეგიული მენეჯმენტი ტექნოლოგიურ ინოვაციებში, პიროვნული უნარები და თვისებები მეწარმეებისთვის, კვლევის მეთოდები მეწარმეობაში, აქსელერაცია, სამაგისტრო ნაშრომი/ პროექტი, ლიდერობა მეწარმეობაში.

მეათე სწავლის შედეგის ,,შეუძლია საბაზრო პოტენციალის იდენტიფიცირება, საბაზრო პოტენციალის დაკმაყოფილებისთვის რელევანტური პროდუქტის/სერვისის/პროცესის/ ინოვაციური იდეის ჩამოყალიბება და მისი სწრაფი შემოწმება (ვალიდაცია)და (MVP) ფორმირება" მიღწევას ემსახურება შემდეგი სასწავლო კურსები პროდუქტების მენეჯმენტი, პროდუქტების დიზაინი, ტექნოლოგიური ტენდენციები, ტრენდები და გლობალური გამოწვევები. აღნიშნული სწავლის შედეგის მიღწევა სრულდება გაღრმავებით, მაშინ როდესაც სწავლის შედეგის მიღწევის ციკლი უნდა სრულდებოდეს განმტკიცებით.

საგანმანთლებლო პროგრამას გააჩნია სწავლის შედეგები შეფასების გეგმა. თუმცა სწავლის შედეგების გეგმაში არ გვხდება სწავლის შედეგების შეფასების სამიზნე ნიშნულები, არ ჩანს სფეროს სპეციფიკისათვის დამახასიათებელი სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობა.

მთლიანობაში პროგრამის სწავლის შედეგები გაზომვადია და დაცულია გაზომვადობის ერთ-ერთი კრიტერიუმი, როგორიცაა აქტიური ზმნების გამოყენება, თუმცა გვხდება პროგრამის სწავლის შედეგები, რომლის ფორმულირება საჭიროებს დახვეწას, **კერძოდ სწავლის შედეგი ,,აქვს მეწარმეობისთვის საჭირო (ე.წ. Soft Skills) უნარები: კრეატიულობა, კრიტიკული აზროვნება, გუნდური მუშაობის, კომუნიკაციის და კოლაბორაციის უნარები, კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის უნარი" საჭიროებს დახვეწას აქტიური ზმნების**

გამოყენებით;

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას, შეესაბამება სფეროს სპეციფიკას და შრომის ბაზრის მოთხოვნებს; დაწესებულებას შესწავლილი აქვს შრომის ბაზრის მოთხოვნები.

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონესა და მისანიჭებელ კვალიფიკაციას; შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს და იძლევა განათლებას.

გასაუბრებიდან ირკვევა, რომ პროგრამის შემუშავებაში ჩართული დაინტერესებული მხარეები, კერძოდ დამსაქმებლები და მოწვეული პერსონალი ნაკლებად იცნობდნენ სწავლის შედეგებს. მოწვეული პერსონალის პროგრამის შემუშავებაში ჩართულობა ძირითადად გამოიხატებოდა სილაბუსის მომზადებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მეწარმეობისა და ინოვაციების სამაგისტრო პროგრამა;
- უსდ-ს მისია
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- შრომის ბაზრის ანალიზი
- უსდ-ს ვებ გვერდი: https://www.ug.edu.ge/ge
- გასაუბრების შედეგები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია სწავლის შედეგების შეფასების გეგმის და სწავლის შედეგების შეფასების რუკის დახვეწა;
- რეკომენდებულია პროგრამის აკადემიურ და მოწვეული პერსონალთან აქტიური მუშაობა პროგრამის სწავლის შედეგების და სწავლის შედეგების შეფასების მეთოდების უკეთ გაცნობის მიზნით;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
თვითშეფასების დოკუმენტის თანახმად სამაგისტრო პროგრამაზე მეწარმეობა და ინოვაციები“ დაშვების წინაპირობები განსაზღვრულია შემდეგით: სამაგისტრო პროგრამაზე სწავლების უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს (შეზღუდვის გარეშე), რომელიც სამაგისტრო პროგრამაზე საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების შესაბამისად ჩაირიცხება და ჩააბარებს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდებს. აღნიშნული პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს: პირი, რომელიც წარმატებით ჩააბარებს საერთო სამაგისტრო გამოცდებს, უნივერსიტეტს მიმართავს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდებზე რეგისტრაციის მიზნით. შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა მოიცავს რეზიუმეს წარდგენასა, გასაუბრებას დარგობრივ კომისიასთან და ინგლისური ენის კომპეტენციის დამადასტურებელ გამოცდას. უნივერსიტეტი გამოცდის თემატიკას ვებ-გვერდზე ერთი თვით ადრე ანთავსებს. პირს უდასტურდება ენის კომპეტენცია თუ იგი წარადგენს ქვემოთ ჩამოთვლილი საერთაშორისო სერტიფიკატებიდან ერთ-ერთი: • *TOEFL IBT – მინიმალური ქულა 80* • *IELTS – მინიმალური ქულა 6.5* • *PTE General – მინიმალური დონე B2* • *FCE – მინიმალური დონე B* • *CPE – საკმარისია ჩაბარება* • *CAE – საკმარისია ჩაბარება* ასევე ტესტირებისგან თავისუფლდება აპლიკანტი, ვისაც ინგლისურ ენაზე გავლილი აქვს ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის სრული კურსი. სტუდენტებს ასევე უღიარდებათ საქართველოს უნივერსიტეტში გავლილი ინგლისურის B2/2 დონე. მეწარმეობა და ინოვაციების ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის სტატუსის მოპოვება შესაძლებელია ასევე მობილობის საფუძველზეც, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. სტუდენტების მიერ პარტნიორ ორგანიზაციაში (Sutardja Center for Entrepreneurship and Technology (SCET) გასავლელი სასწავლო კურსები, რომლებსაც უსდ სთავაზობს მათ არ საჭიროებს სპეციალური დაშვების წინაპირობებს. ეს სასწავლო კურსებია: ლიდერობა მეწარმოებაში, პროდუქტის მენეჯმენტი, ტექნოლოგიური ტენდენციები, ტრენდები და გლობალური გამოწვევები და ადამიანური რესურსების მართვა ინოვაციებსა და მეწარმეობაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ მეწარმეობისა და ინოვაციების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ○ საქართველოს უნივერსიტეტის ვებ გვერდი: www.ug.edu.ge
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
საგანანმანათლებლო პროგრამა შედგენილია დაწესებულებაში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით, კერძოდ დაწესებულებას გააჩნია საგანმანათლებლო პროგრამის დებულება, რომელიც დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2020 წლის 24 ნოემბრის N 51/20 ოქმით ცვლილება 2021 წლის 25 მარტის N 12/21 ოქმით. საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობაა 120 კრედიტი. აქედან 110 კრედიტი (ECTS) არის სავალდებულო კომპონენტი (რაც მოიცავს: 65 ECTS სასწავლო კურსები, 15 ECTS პრაქტიკა, 30 ECTS სამაგისტრო პროექტი); დანარჩენი 10 კრედიტი კი უნდა შეივსოს პროგრამის არჩევითი საგნებიდან. მისანიჭებელი კვალიფიკაციაა მენეჯმენტის მაგისტრი (0413). სავალდებულო კომპონენტი მოიცავს შემდეგ სასწავლო კურსებს: მარკეტინგი და გაყიდვები მეწარმეობასა და ინოვაციებში, პროდუქტის დიზაინი, ბიზნეს ანალიტიკა, კანონმდებლობა და რეგულაციები მეწარმეობას და ინოვაციებში, პროდუქტის მენეჯმენტი,

ტექნოლოგიური ტენდენციები, ტრენდები და გლობალური გამოწვევები, პროდუქტის მენეჯმენტი, ლიდერობა მეწარმეობაში, ადამიანური რესურსების მართვა ინოვაციებსა მეწარმეობაში, სტრატეგიული მენეჯმენტი ტექნოლოგიურ ინოვაციებში, ინვესტიციები სტარტაპებში, პიროვნული უნარები და თვისებები მეწარმეებისათვის, სამეწარმეო ფინანსები, კვლევის მეთოდები მეწარმეობაში. პრაქტიკულ კურსებს მიეკუთვნება პრე-აქსელერაცია და აქსელერაცია, რომელიც მოიცავს 15 კრედიტს. ხოლო სამაგისტრო ნაშრომი მოიცავს 30 კრედიტს. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურის ანალიზიდან ჩანს, რომ პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს და პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ მისანიჭებელი კვალიფიკაციის და პროგრამის სახელწოდების გათვალისწინებით პროგრამის ფარგლებში უნდა ისწავლებოდეს სასწავლო კურსი ,,მიწოდების ჯაჭვის მართვა“.
პროგრამის არჩევითი კომპონენტი განისაზღვრა 10 კრედიტით. არჩევით მოდულს მიეკუთვნება შემდეგი სასწავლო კურსები: ფინტეკი, ციფრული წიგნიერება, ელექტრონული კომერცია, ბლოქჩეინი და ტექნოლოგიების მომავალი. არჩევითი საგნების მოდულო წარმოდგენილია 5 სასწავლო კურსით და ვფიქრობთ, რომ არჩევითი საგნების რაოდენობა უნდა გაიზარდოს.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, საგანმანათლებლო პროგრამის მომზადება და განხორციელება ბერკლის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით არის ძალზე მნიშნელოვანი როგორც ინტერნაციონალიზაციის, ასევე უცხოური გამოცდილების მიღების კუთხით. თუმცა პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს აქვს გარკვეული მოსაზრება. როგორც უკვე აღვნიშნეთ ,,მეწარმეობის და ინოვაციების“ სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება ბერკლის უნივერსიტეტის Sutardja Center for Entrepreneurship and Technology (SCET) ცენტრის ჩართულობით. საქართველოს უნივერსიტეტს აქვს აღნიშულ ცენტრთან ხელშეკრულება გაფორმებული, რაც გულისხმობს სტუდენტების ერთი სემესტრით სასწავლად (სურვილის შემთხვევაში) გაგზავნას. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ინტერვიუების მსვლელობისას ექსპერტთა ჯგუფი შეეცადა გაერკვია თუ რა სახით ხდებოდა სტუდენტთა შეფასება.

დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ პროგრამაში არსებული სილაბუსები თანხვედრაში იყო ბერკლის უნივერსიტეტის Sutardja Center for Entrepreneurship and Technology (SCET) (https://scet.berkeley.edu/about/) ცენტრის სილაბუსებთან და შესაბამისად მათ იდენტური შეფასების სისტემა ჰქონდათ. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფის მოთხოვნის საფუძველზე დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა. ასევე, ბუნდოვანია თუ როგორ ხდება მივლენილი სტუდენტების შეფასება და რა სამართლებრივი მექანიზმი არსებობს. გამომდინარე იქიდან რომ სტუდენტები არ მიდიან გაცვლითი პროგრამით და არ ხდება მხარეების მიერ სტუდენტთა მიერ მიღებული კრედიტების აღიარება და როგორც ინტერვიუდან გაირკვა, შემფასებელი მხოლოდ ქართული მხარეა (საქართველოს უნივერსიტეტი), იბადება კითხვა, როგორ ხდება საქართველოდან აშშ-ში მყოფი სტუდენტის შეფასება, განსაკუთრებით კი იმ პირობებში, როდესაც საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტები ესწრებიან ლექციებს ბერკლის სტუდენტებთან ერთად.
გამომდინარე იქიდან, რომ „მეწარმეობა და ინოვაციების” პროგრამა არ ითვალისწინებს

სტუდენტთა გაცვლით პროგრამაში მონაწილეობას (რომლის დროსაც ხდება მასპინძელ (host) უნივერსიტეტში ათვისებული კრედიტების აღიარება მშობელი (home) უნივერსიტეტის მხრიდან). ასევე, ხსენებული პროგრამა არ წარმოადგენს ერთობლივ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას (რომლის დროსაც ხდება პარტნიორი უნივერსიტეტების მხრიდან კვალიფიკაციის მინიჭება). აგრეთვე, პროგრამის განხორციელების პროცესის ბუნდოვნება, კერძოდ, კითხვაზე სად/როგორ ხდება შუალედური შეფასება? დაწესებულების მხრიდან გაჟღერდა ორი პასუხი. პირველი, საქართველოს უნივერსიტეტის პედაგოგი დისტანციურად და ცენტრის პედაგოგი ადგილზე ურთიერთშეთანხმების საფუძველზე აფასებენ სტუდენტს. მეორე, უსდ-ს პედაგოგი დისტანციურად აფასებდა აშშ-ში მყოფ სტუდენტს. რაც შეეხება დასკვნით შეფასებას, სტუდენტი როდესაც დაასრულებდა სასწავლო კურსებს ბერკლის ცენტრში, მხოლოდ საქართველოში დაბრუნების შემდეგ უტარდებოდა ფინალური გამოცდა. აღნიშნული ქმედება შესაძლოა მოიაზრებდეს უსდ-ს მხრიდან კანონმდებლობასთან შეუსაბამო ქმედებას.

ამგვარად, შეთანხმება, რომელიც საქართველოს უნივერსიტეტსა და ბერკლის უნივერსიტეტის Sutardja Center for Entrepreneurship and Technology (SCET) ცენტრს შორის არსებობს, წარმოადგენს კარგ პრაქტიკას ინტერნაციონალიზაციის კუთხით, თუმცა მეტი გამჭირვალობის მიზნით აუცილებელია მოხდეს აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკისა და არსებულ სფეროში მოქმედ მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის გათვალისწინებით სასწავლო პროცესების მართვის მარეგულირებელი მექანიზმის შემუშავება.

აღნიშნული კითხვის დასმისას ჯგუფმა ინტერვიუერების პროცესის ფარგლებში მიიღო ორი განსხვავებული პასუხი. პირველი, რომ შეფასება მოხდებოდა ონლაინ რეჟიმში, და მეორე, რომ SCET-ს ლექტორი წერდა შუალედურ შეფასებას და ატყობინებდა საგნის ლექტორს საქართველოში. უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არ არის გაწერილი გზამკვლევი (ინსტრუქცია), რომელშიც იქნება მოცემული სასწავლო პროცესი, კერძოდ საგნების არჩევის პროცესი, მკაფიოდ განსაზღვრული ქართველი და უცხოელი პედაგოგების მოვალეობები შეფასების პროცესი და ა.შ.

პროგრამის შემუშავებაში ჩართული იყო დაინტერესებული მხარეები, თუმცა როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მათი ჩართულობა, განსაკუთრებით, პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში იყო სუსტი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის დებულება, დამტკიცებული დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2020 წლის 24 ნოემბრის N 51/20 ოქმით ცვლილება 2021 წლის 25 მარტის N 12/21 ოქმით.
- სამაგისტრო პროგრამა;
- დაწესებულების ვებ-გვერდი: https://www.ug.edu.ge/
- სასწავლო კურსის სილაბუსები
- დაინტერესებულ მხარეებთან გასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია მკაფიოდ განისაზღვროს და შემუშავდეს ბერკლის უნივერსიტეტის Sutardja Center for Entrepreneurship and Technology (SCET) ცენტრთან პარტნიორობის ფარგლებში სასწავლო პროცესის მართვის მარეგულირებელი მექანიზმი მეწარმეობისა და ინოვაციების სამაგისტრო პროგრამით დაინტერესებული სტუდენტებისათვის გამჭირვალობის უზრუნველყოფის მიზნით და პროგრამის განხორციელებისას გათვალისწინებულ იქნას საქართველოს მოქმედი მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმატიული აქტები.
- რეკომენდებულია ძირითადი სწავლის სფეროს დაემატოს მიწოდების ჯაჭვის მართვის სასწავლო კურსი;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია არჩევითი სასწავლო კურსების რაოდენობის გაზრდა

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების

მიღწევას.
მთლიანობაში თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) შეესაბამება კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს; ასევე, საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას. სასწავლო კურსების სილაბუსების ანალიზისას იკვეთება შემდეგი გარემოება, კერძოდ ზოგიერთი სასწავლო კურსის შინაარსი ვფიქრობთ უნდა იყოს მეტად კომპლექსური და შეესაბამებოდეს მაგისტრატურის საფეხურს. კერძოდ, სასწავლო კურსის ,,მარკეტინგი და გაყიდვები მეწარმეობასა და ინოვაციებში" შინაარსიდან და გამოყენებული ლიტერატურის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ ნაკლებად შეესაბამება მაგისტრატურის საფეხურს. აღნიშნული სასწავლო კურსის შინაარსი მოიცავს შემდეგ საკითხებს: მარკეტინგისა და მარკეტინგული პროცესის არსი, კომპანია და მარკეტინგული სტრატეგია, მომხმარებელთან ურთიერთობები, მარკეტინგული გარემოს ანალიზი, მარკეტინგული ინფორმაციის დამუშავება, მომხმარებელთა ინსაითების გამოკველვა და მოგროვება, მომხმარებლისა და პროდუქტის მყიდველის ქცევის განსაზღვრა, მომხმარებელზე მორგებული მარკეტინგული სტრატეგია, პროდუქტები, მომსახურეობა და ბრენდი, ახალი პროდუქტის შემუშავება და მისი სასიცოცხლო ციკლის სტრატეგია, ფასი (Pricing): მომხმარებლის ღირებულების გაგება და აღქმა, მარკეტინგული არხები, საცალო და საბითუმო ვაჭრობა, მომხმარებლის ჩართვა და მათი ღირებულებების შესაბამისად მათთან კომუნიკაცია: რეკლამა და საზოგადოებასთან ურთიერთობა, პერსონალური გაყიდვები და მისის ხელშეწყობა, პირდაპირი და ციფრული მარკეტინგი. ამგვარად, სასწავლო კურსის შინაარსი არ მოიცავს გაყიდვების ნაწილს, იგი სრულიად დაფარულია მარკეტინგის კომპონენტით, რაც წინააღმდეგობაში მოდის კურსის სახელწოდებასთან. სილაბუსში არ არის მოცემული გაყიდვების საკითხები, როგორიცაა: გაყიდვების პერსპექტივები და სტრატეგიები, გაყიდვების გარემო, გაყიდვების ტექნიკა, გაყიდვების მართვა და კონტროლი. ასევე გაუგებარია აღნიშნული სასწავლო კურსის სახელწოდება რატომ არის მარკეტინგი და გაყიდვები **მეწარმეობასა და ინოვაციებში,** მაშინ როდესაც კურსი მოიცავს სტანდარტულ მარკეტინგის საკითხებს. გარდა იმისა, რომ ლიტერატურა არის მოძველებული, აღნიშნულ კურსშიც ვხედავთ მსგავს პრობლემას. Marketing Gary Amstrong, Philip Kotler 12th edition არის საბაკალავრო დონის სახელმძღვანელო. ასევე სასწავლო კურსი, ,,ადამიანური რესურსების მართვა შინაარსიდან და გამოყენებული ლიტერატურის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მაგისტრატურის საფეხურს, კერძოდ აღნიშნულ სასწავლო კურსთან დაკავშირებით იკვეთება შემდეგი სახის საკითხები. პირველი, ძირითად ლიტერატურად არ არის გამოყენებული სტრატეგიული ადამიანური რესურსების მართვის სახელმძღვანელო და აქცენტი კეთდება ადამიანური რესურსების საფუძვლებზე. დაწესებულება მეწარმეობისა და ინოვაციების სამაგისტრო პროგრამისათვის სასწავლო კურსების შერჩევისას ხელმძღვანელობდა არა მხოლოდ შრობის ბაზრის კვლევის შედეგებით, არამედ ანალოგებით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის ,,ანალოგიური პროგრამების შედარებითი ანალიზი" შესწავლის შედეგად ვლინდება, რომ დაწესებულებას გაანალიზებული აქვს, როგორც ადგილობრივი უნივერსიტეტების

საგანმანათლებლო პროგრამები, ასევე უცხოური უნივერსიტეტების პროგრამები. ადგილობრივ უნივერსიტეტებს შორის გაანალიზებულია კავკასიის უნივერსიტეტის, თავისუფალი უნივერსიტეტის, თბილისის სახელწმიფო უნივერსიტეტის, ილიას სახელწმიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამები. დაწესებულებამ შეისწავლა ბერლინის ბიზნესისა და ინოვაციების სკოლაში სამაგისტრო პროგრამა. წარმოდგენილ დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ ,,აღნიშნული კურსებიდან საქართველოს უნივერსიტეტის პროგრამაში მხოლოდ ოპერაციათა მენეჯმენტია გადატანილი მენეჯმენტის ბლოკში. თუმცა, მეწარმეობისა და ინოვაციების სამაგისტრო პროგრამაში არც სავალდებულო და არც არჩევით მოდულში არ ფიქსირდება ,,ოპერაციათა მენეჯმენტის" სასწავლო კურსი. დაწესებულებამ ასევე გაანალიზა ნიუ იორკის პრაღის უნივერსიტეტის და რობერტ კენედის უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამა. თვითშეფასებაში ვკითხულობთ, რომ პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებული იყო ანალოგიური უცხოური პროგრამების ანალიზის შედეგად გამოვლენილი კომპეტენციები. თუმცა, თვითშეფასების დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ პროგრამა მომზადდა ბერკლის უნივერსიტეტისა და საქართველოს უნივერსიტეტის პარტნიორობის ფარგლებში, (გვ.16). ინოვაციების და მეწარმეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები ერთი სემესტრის მანძილზე ისწავლიან ბერკლში, UC Berkeley-ის მეწარმოების და ტექნოლოგიების ცენტრის სტარტაპ სემესტრში (SCET -Sutardja Center for Entrepreneurship & Technology). პროგრამის ფარგლებში სამაგისტრო საფეხურის სტუდენტები ბერკლის სხვა სტუდენტებთან ერთად გაივლიან აკადემიურ საგნებს, მეწარმეობის და ინოვაციების მიმართულებით. ამ ანალიზიდან გამომდინარე, ბუნდოვანია ბერკლის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით დაწესებულებამ პროგრამის შემუშავებისას კონკრეტულად რა სასწავლო კურსები გაითვალისწინა და ასევე ბუნდოვანია სტუდენტები, რომელ სასწავლო კურსებს გაივლიან აშშ-ის პარტნიორ უნივერსიტეტში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა ○ სასწავლო კურსის სილაბუსები ○ გასაუბრების შედეგები
რეკომენდაციები: • ,,რეკომენდებულია სასწავლო კურსების ,,ადამიანური რესურსების მართვა ინოვაციებსა და მეწარმეობაში" შინაარსის დახვეწა სამაგისტრო საფეხურთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. • რეკომენდებულია მკაფიოდ განისაზღვროს ის სასწავლო კურსები, რომელიც ბერკლის უნივერსიტეტის SCET ცენტრთან თანამშრომლობის ფარგლებში მეწარმეობისა და ინოვაციების სამაგისტრო პროგრამაში არის გათვალისწინებული.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

• **სასურველია ზოგიერთი სასწავლო კურსის გამოყენებული ლიტერატურის განახლება**
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
თეორიული ცოდნის გარდა, სამაგისტრო პროგრამა, ასევე ორიენტირებული პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე. პრაქტიკული კომპეტენციების გამომუშავება ხდება ცალკეული კურსის ფარგლებში პროექტებისა და კონკრეტული სიტუაციების შესრულებით. კვლევითი უნარების განვითარებას ემსახურება სამაგისტრო ნაშრომის შესრულება. გასაუბრებიდან ირკვევა, რომ უნივერსიტეტში რეგულარულად ტარდება სემინარები, რაც სტუდენტებისათვის სემინარზე დასწრება და მონაწილეობა წარმოადგენს დამატებით საშუალებას დებატების კულტურის ფორმირებისათვის, სემინარებს უძღვებიან ბიზნესის სფეროს ექსპერტები, ცნობილი სპეციალისტები, სხვადასხვა ბიზნეს-დაწესებულებათა ხელმძღვანელები, აკადემიური სფეროს წარმომადგენლები. პრაქტიკული და კვლევითი უნარების გაღრმავების მიზნით საქართველოს უნივერსიტეტში მოქმედებს „Startup Factory". „Startup Factory" მოიცავს თანამედროვე სამუშაო გარემოს, რომელშიც შესაძლებელია 40-მდე ადამიანის განთავსება; Startup Factory" -ს საშუალებით შესაძლებელია ინოვაციური ბიზნეს იდეის განვითარების და შემდგომში დაფინანსების მოძიება. საქართველოს უნივერსიტეტში პერიოდულად იმართება სტუდენტური კონფერენციები. უნივერსიტეტში მოქმედებს სამეცნიერო ჟურნალი „Caucasus Journal of Social Sciences.",

სადაც სტატიების გამოქვეყნება საქართველოს უნივერსიტეტის სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურის სტუდენტებისთვის უფასოა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ მეწარმეობისა და ინოვაციების საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა ○ სასწავლო კურსის სილაბუსები; ○ გასაუბრების შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): • **დაწესებულებაში მოქმედი Startup Factory", სადაც შესაძლებელია ინოვაციური ბიზნეს იდეის განვითარების და შემდგომში დაფინანსება მოძიება.**
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სწავლების მეთოდების აღწერილობითი ნაწილი შეესაბამება რეალობაში განხორციელებულ მეთოდებს, არის არსებული საფეხურების მიმართ რელევანტური და სრულად უზრუნველყოფს შედეგების მიღებას. პროგრამაში გამოიყენება სწავლების სხვადასხვა თანამედროვე მეთოდი, მათ შორის: • ლექცია-სემინარი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ინტერაქტიული ლექციები, გუნდური მუშაობა, შემთხვევის შესწავლა და ანალიზი, დისკუსიები, პრეზენტაციების წარდგენა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, ლიტერატურის მიმოხილვა. პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება უმაღლესი განათლების მაგისტრატურის საფეხურს, კურსის შინაარს და სწავლის შედეგებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამაგისტრო პროგრამა ○ სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრების შედეგები; ○ სტუდენტებთან გასაუბრების შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
შპს საქართველოს უნივერსიტეტი სტუდენტის შეფასებისას ხელმძღვანელობს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული (ECTS) სისტემით, ,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონით და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესით (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება № 3 2007.05.01) განსაზღვრული შეფასების სისტემით. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასებაა 100 ქულა. შეფასებების ფორმები მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს. ძირითადად შუალედური შეფასება მოიცავს 65 ქულას, ხოლო დასკვნითი გამოცდა - 35 ქულას. დასკვნით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება იმ შემთხვევაში თუ მას შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა. ხოლო დასკვნითი გამოცდის ჩასაბარებლად აუცილებელია არანაკლებ 21 ქულის მიღება. სასწავლო კომპონენტი დაძლეულია საერთო ჯამში 51 ქულის მიღების შემთხვევაში. სილაბუსში არ არის ასახული დასკვნით გამოცდაზე დაშვების და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. ეს უკანასკნელი განსაზღვრულია უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით, ანუ სამაგისტრო სწავლების დებულებით (იხ. ბმული: https://ug.edu.ge/storage/documentations/May2022/H54ZFyu64GxFoNqmu8Qx.pdf). თუმცა, შეფასების ფორმებს, მეთოდებსა და კრიტერიუმებს ვხვდებით თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში. სილაბუსების გაცნობის შემდეგ ზოგიერთი სასწავლო კურსის შემთხვევაში გამოიკვეთა გარკვეული სახის სასურველობა შეფასების კრიტერიუმების დაზუსტებასთან მიმართებით. კერძოდ, სასწავლო კურსის „ციფრული მეწარმეობა და კომპიუტერული უსაფრთხოება“ სასურველია კვირეულ ჩაშლაში შემთხვევის პრობლემის აღმოფხვრასა და შემთხვევის შესწავლა-პრევენციას მიეთითოს ინდივიდუალური შეფასების ქულა. მსგავსად, სასწავლო კურსებში „სტრატეგიული მენეჯმენტი ტექნოლოგიურ ინოვაციებში“ და „ლიდერობა მეწარმეობაში“, სასურველია დაკონკრეტდეს ცალ-ცალკე ჯგუფური პრეზენტაციისა და ჯგუფური მუშაობის ქულობრივი განაწილება. მიუხედავად ამისა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. სასწავლო კურსებში ყველაზე ხშირად გამოყენებული შუალედური შეფასების კომპონენტებია: ქეისების გარჩევა, ქვიზები, პროექტის პრეზენტაცია. შუალედურ და დასკვნითი გამოცდების შემთხვევაში ძირითადად გამოყენებულია კომბინირებული ტესტი, რომელიც შედგება ღია და დახურული ტიპის თეორიული და პრაქტიკული ხასიათის შეკითხვისაგან, ქეისის განხილვისაგან, პროექტის წარდგენისაგან და სხვ. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების დროს ისინი დადებითად აფასებენ მოქმედ შეფასების სისტემასა და მის შემადგენელ კომპონენტებს. გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით გათვალისწინებულია სტუდენტთა აზრიც, იმ მიმართულებით, რომ სასწავლო კურსების უმრავლეს ნაწილში დამატებულია ქეისების ანალიზის ნაწილი და სამაგისტრო პროგრამის 80% ეთმობა პრაქტიკული უნარების გამომუშავებას. სწავლის შედეგების მისაღწევად გამოყენებული შეფასების სისტემა ითვალისწინებს დარგის

სპეციფიკას და მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებს. შეფასების ფორმები და კომპონენტები არის გამჭვირვალე და ცნობილია სტუდენტისათვის. როგორც ცნობილია საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები ერთი სემესტრის მანძილზე ისწავლიან ბერკლში, UC Berkeley-ის მეწარმოების და ტექნოლოგიების ცენტრში (SCET -Sutardja Center for Entrepreneurship & Technology). პროგრამის ფარგლებში სამაგისტრო საფეხურის სტუდენტები ბერკლის სხვა სტუდენტებთან ერთად გაივლიან აკადემიურ საგნებს, მეწარმეობის და ინოვაციების მიმართულებით, რომელიც ისწავლება მეორე სემესტრში. ამ კუთხით ბუნდოვანია როგორ შეფასდება სტუდენტი, რადგან მსგავსი ჩანაწერი ან მინიშნება არ იძებნება სასწავლო კურსების სილაბუსებში. მნიშვნელოვანია ბერკლის კურსების შეფასებისა და აღიარების საკითხების უკეთ გაცნობა სტუდენტებისათვის.

შპს საქართველოს უნივერსიტეტში დანერგილია სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემა, რომლის დახმარებითაც ხდება სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი (იხ. ლინკი: https://my.ug.edu.ge/login). ეს უკანასკნელი უზრუნველყოფს სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორის მიერ სტუდენტთა ინფორმირებულობას მიმდინარე შეფასებების შესახებ. კურსის მიმდინარეობის მანძილზე თითოეულ სტუდენტს საშუალება აქვს თავის მიმდინარე შეფასებებს ელექტრონული მართვის სისტემიდან ადევნოს თვალი და დროული რეაგირება ჰქონდეს მიღწეულ შედეგებზე. სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემის მეშვეობით არსებობს ლექტორსა და სტუდენტს შორის იოლი კომუნიკაციის დამყარების შესაძლებლობა ელექტრონულად. ხოლო საგამოცდო პროცესის მიმდინარე ეტაპზე გამოიყენება ცალკე შექმნილი სისტემა.

აღსანიშნავია, რომ თუ სტუდენტი საპატიო მიზეზით აცდენს საგანში შუალედურ შეფასებას ან/და დასკვნით შეფასებას, მას შეუძლია მოითხოვოს მათი აღდგენა ყოველგვარი საზღაურის გარეშე. ასევე, სტუდენტებს შეუძლიათ შუალედურ გამოცდაზე მიღებული შეფასების გასაჩივრება ნაშრომის მიღებიდან ორი სამუშაო დღის განმავლობაში „ჩემი UG“-ის მეშვეობით. შუალედური შეფასების გასაჩივრების განცხადებით სტუდენტები მიმართავენ საკუთარი პროგრამის ხელმძღვანელს. შუალედური შეფასების გასაჩივრების დასაშვებობაზე გადაწყვეტილებას იღებს პროგრამის ხელმძღვანელი (იხ. სამაგისტრო სწავლების დებულების მე-8 მუხლი). ხოლო რაც შეეხება დასკვნით გამოცდებს, დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს მეორე დღისა სტუდენტი უფლებამოსილია „ჩემი UG“–ის მეშვეობით განცხადებით მიმართოს მისი პროგრამის ხელმძღვანელს და გაასაჩივროს დასკვნითი გამოცდის შედეგი. განცხადების მიღებიდან 7 კალენდარული დღის ვადაში პროგრამის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს განცხადების განხილვას და შედეგების ასახვას. გასაჩივრებული ნაშრომის განსახილველად პროგრამის აკადემიური დეკანი უზრუნველყოფს კომისიის შექმნას. სტუდენტებთან ინტერვიუერების დროს მათ განაცხადეს რომ ამ უფლებამოსილებით არ უსარგებლიათ, თუმცა ზოგადად სმენიათ ამის შესახებ. რაც შეეხება სილაბუსს, სტუდენტი მას შეიძლება გაეცნოს ელექტრონული მართვის სისტემის დახმარებით სასწავლო სემესტრის დაწყების შემდეგ, ასევე, შესაბამისი სასწავლო კურსის წამყვან აკადემიურ თუ მოწვეულ ლექტორთან.

პროგრამაში ინტეგრირებულია საწარმოო პრაქტიკა 15 კრედიტის მოცულობით, შემდეგი სასწავლო კურსების ფარგლებში: „პრე-აქსელერაცია“ და „აქსელერაცია“. მათი შეფასების სისტემა მოიცავს ქეისის განხილვას, პრეზენტაციასა და შუალედურ და

დასკვნით გამოცდას. შუალედურ გამოცდად მოაზრება სპრინტების წარდგენა და პრეზენტაცია, ხოლო დასკვნით გამოცდაში - სტარტაპ ბიზნეს გეგმის პრეზენტაცია (ფიჩი) და წერილობითი პროექტის წარდგენა/პრეზენტაცია ან ინვესტორისთვის წარსადგენი დოკუმენტის წარდგენა.

გასათვალისწინებელია, რომ პროგრამაში სავალდებულო სახით შესასრულებელია სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი 30 კრედიტის მოცულობით. ამ უკანასკნელის შესრულების, დაცვისა და შეფასების ინსტრუქცია და სხვ. მოცემულია შემდეგ დოკუმენტაციაში: სამაგისტრო სწავლების დებულება, საკვალიფიკაციო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების და შეფასების წესი (იხ. ბმული: https://ug.edu.ge/storage/documentations/April2021/jPnzDeHUGFzo9MD6CgLh.pdf), საუნივერსიტეტო ნაშრომის APA სტილის მოთხოვნათა დაცვით გაფორმების შესახებ ინსტრუქცია (იხ. ბმული: https://ug.edu.ge/storage/documentations/April2021/TJHQVtWNFgnWjbVtH2TR.pdf).

სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შეფასება ხორციელდება საბჭოს თავჯდომარისა და ექსპერტის მიერ ინდივიდუალურად. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შეფასება წარმოადგენს საკვალიფიკაციო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების და შეფასების წესით გათვალისწინებული თითოეული კომპონენტის საშუალო არითმეტიკულ ქულათა ჯამს. უშუალოდ სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შეფასების შესახებ დეტალურ ინფორმაციას ვკითხულობთ დოკუმენტში „საკვალიფიკაციო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების და შეფასების წესი“. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხორციელდება საბოლოო დაცვაზე. საბოლოო დაცვამდე მაგისტრანტმა სავალდებულოა გაიაროს კონცეფციისა და წინასწარი განაცხადის ეტაპები და აღნიშნული კომპონენტების/კრიტერიუმების შესაბამისად ეძლევა სხვადასხვა რეკომენდაცია. საბოლოო დაცვის კომპონენტებია: კვლევის შედეგები, ანალიზი და დასკვნა (25 ქულა); წერილობითი ტექსტი (25 ქულა); პრეზენტაცია (15 ქულა); დისკუსია (10 ქულა).

სასურველია, რომ სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შესრულების ინსტრუქცია, შეფასების კომპონენტები მოერგოს მოცემული სამაგისტრო პროგრამის სპეციფიკას, როგორც ეს დაწესებულებას აქვს გაკეთებული შემდეგი პროგრამებისთვის: „ბიზნესის ადმინისტრირება“, „განათლების ადმინისტრირება“, სამართლის სკოლის და სამედიცინო პროგრამებისთვის.

შპს საქართველოს უნივერსიტეტში მოქმედებს აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკა (იხ. ბმული: https://www.ug.edu.ge/ge/sauniversiteto-debuleba-full/155). ზემოთ აღნიშნულ პოლიტიკაში ჩვენ ვკითხულობთ, რომ სტუდენტის მიერ სასწავლო პროცესში გამოვლენილ აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ფორმებზე გამოიყენება შემდეგი დისციპლინური სანქცია: ა) სტუდენტს მიეცემა შენიშვნა; ბ) სტუდენტს საშუალება მიეცემა ნაშრომი გადაამუშავოს და წარადგინოს ხელმეორედ; გ) სტუდენტის ნაშრომი შეფასდება 0 ქულით; დ) სტუდენტს დროებით შეუჩერდება სტუდენტის სტატუსი; ე) სტუდენტს შეუწყდეს სტუდენტის სტატუსი; ვ) სტუდენტის მხრიდან აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის დაფიქსირების შემთხვევაში სასწავლო დისციპლინის/კომპონენტის ლექტორი/ხელმძღვანელი და/ან საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი ვალდებულნი არიან გამართონ ინდივიდუალური საინფორმაციო შეხვედრა სტუდენტთან აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის

მოტივის შესწავლის მიზნით და შეიმუშავონ შესაბამისი დასკვნა. უნივერსიტეტი აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის გარკვეული ფორმების პრევენციის მიზნით იყენებს Turnitin-ის პროგრამას, აღსანიშნავია, რომ ასევე, შემუშავებულია Turnitin-ის პროგრამის გამოყენების წესი ისევ სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამისთვის. მაგალითად, ბიზნესის და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლაში პლაგიატის Turnitin-ის პროგრამის გამოყენების წესში ჩვენ ვკითხულობთ „დადგენილი პროცედურების გავლის შემდეგ Turnitin-ის პროგრამაში ნაშრომის დამთხვევის მაჩვენებელის 20%-იანი, ხოლო ერთი წყაროდან 5%-იანი ზღვრის გადაჭარბება წარმოადგენს აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის მე-5 მუხლის (დისციპლინური სანქციები და აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის გამოვლენისა და რეაგირების მექანიზმი) 1.8 პუნქტით გათვალისწინებული პროცედურის დაწყების საფუძველს. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, რომ ისინი იცნობენ აღნიშნულ წესს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები; • ელექტონული სერვისების სისტემა, იხ. ბმული: https://my.ug.edu.ge/login; • სამაგისტრო სწავლების დებულება, იხ. ბმული: https://ug.edu.ge/storage/documentations/May2022/H54ZFyu64GxFoNqmu8Qx.pdf; • საკვალიფიკაციო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების და შეფასების წესი, იხ. ბმული: https://ug.edu.ge/storage/documentations/April2021/jPnzDeHUGFzo9MD6CgLh.pdf; • საუნივერსიტეტო ნაშრომის APA სტილის მოთხოვნათა დაცვით გაფორმების შესახებ ინსტრუქცია, იხ. ბმული: https://ug.edu.ge/storage/documentations/April2021/TJHQVtWNFgnWjbVtH2TR.pdf; • აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკა, იხ. ბმული: https://www.ug.edu.ge/ge/sauniversiteto-debuleba-full/155; • სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: რეკომენდებულია იმ სასწავლო კურსის სილაბუსებში, რომლებსაც სტუდენტები გაივლიან ბერკლის SCET ცენტრში, შეფასებებში აისახოს შესაბამისი განმარტება, თუ როგორ ხდება შუალედური და დასკვნითი შეფასებების მოპოვება მოცემულ საგანში.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია, სასწავლო კურსის „ციფრული მეწარმეობა და კომპიუტერული უსაფრთხოება“ კვირეულ ჩაშლაში შემთხვევის პრობლემის აღმოფხვრასა და შემთხვევის შესწავლა-პრევენციას მიეთითოს ინდივიდუალური შეფასების ქულა. მსგავსად, სასწავლო კურსებში „სტრატეგიული მენეჯმენტი ტექნოლოგიურ ინოვაციებში“ და „ლიდერობა მეწარმეობაში“, სასურველია დაკონკრეტდეს ცალ-ცალკე ჯგუფური პრეზენტაციისა და ჯგუფური მუშაობის ქულობრივი განაწილება. • სასურველია, რომ სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შესრულების ინსტრუქცია, შეფასების კომპონენტები მოერგოს მოცემული სამაგისტრო პროგრამის სპეციფიკას, როგორც ეს დაწესებულებას აქვს გაკეთებული შემდეგი პროგრამებისთვის: „ბიზნესის ადმინისტრირება“, „განათლების ადმინისტრირება“, სამართლის სკოლის

და სამედიცინო პროგრამებისთვის.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას,

ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შპს საქართველოს უნივერსიტეტში სტუდენტების ინფორმირებულობას სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების საკითხებზე ძირითადად უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია სხვადასხვა ხერხის გამოყენებით. მაგ., აუცილებელი ინფორმაცია (სასწავლო გეგმა, სასწავლო ბარათი, მიმდინარე შეფასებები, პედაგოგების ცხრილი, საგამოცდო ცხრილი და სხვა) სტუდენტისათვის ხელმისაწვდომია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემებში მათ პირად გვერდზე (ელექტრონული სერვისების სისტემა, ელექტრონული პლათფორმა „ჩემი UG“, იხ. ლინკი: https://my.ug.edu.ge/login). სწორად, ეს უკანასკნელი წარმოადგენს სტუდენტს, ადმინისტრაციასა და პროფესორ-მასწავლებლებს შორის ოფიციალურ საკომუნიკაციო საშუალებას. იგი იძლევა როგორც ადმინისტრაციული საკითხების (ცნობის მიღება/გაგზავნა, განცხადების, საჩივრის დაწერა და ა.შ.) მოგვარების, ისე სალექციო-საგამოცდო პროცესის ელექტრონულად, დისტანციურად წარმართვის, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის (საგანმანათლებლო პროგრამა, სილაბუსები, შეფასებები, საგამოცდო ცხრილი, და ა.შ.) მიღების, სასწავლო პროცესის დაგეგმვა/წარმართვის (კომპონენტზე აკადემიური რეგისტრაცია, ნაშრომების ატვირთვა, ლექტორისგან სასწავლო მასალების მიღება და ა.შ.) და სტუდენტურ ცხოვრებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ინფორმაციის (კონფერენციები, ღონისძიებები, სტუდენტური კლუბები და მათი აქტივობები) მიღების საშუალებას. უნივერსიტეტში სტუდენტები პოტენციური დამსაქმებლებისა თუ ვაკანსიების შესახებ ინფორმაციას მიიღებენ უნივერსიტეტის ვებ-გვერდის და „ჩემი UG“ სიახლეებიდან. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკის განხორციელებას და პროცესის შეუფერხებლად წარმართვას ორგანიზებას გაუკეთებს ბიზნესის და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლა და პროგრამის ხელმძღვანელი. ყველა სასწავლო კურსის სილაბუსში ფიქსირდება ლექტორის საკონტაქტო ინფორმაცია: საკონტაქტო ტელეფონი, ელექტრონული ფოსტის მისამართი. აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა ექსპერტებთან საუბრისას დაადასტურეს, რომ მათი დატვირთვა და შესაბამისად, შრომითი ხელშეკრულებები ითვალისწინებენ სტუდენტთა კონსულტაციების საათებსაც. ზოგადად, ყოველი სემესტრის დასაწყისში დგინდება ოფიციალური საკონსულტაციო განრიგი, ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით სტუდენტები ადასტურებენ, რომ ისინი ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალისგან იღებენ მათთვის აუცილებელ კონსულტაციებს და საჭირო ინფორმაციას. ამასთან, მათ შორის კომუნიკაცია შეიძლება განხორციელდეს ელექტრონული ფოსტის ან უფრო მეტად სოციალური ქსელის დახმარებითაც კი. ამასთან, მიმდინარე პერიოდში პან-დემიასთან დაკავშირებული ეპიდ სიტუაციიდან გამომდინარე, სტუდენტებს შეუძლიათ ლექტორთან შეთანხმებით ნებისმიერ დროს მიიღონ შესაბამისი ონლაინ კონსულტაცია.

შპს საქართველოს უნივერსიტეტში პერიოდულად ტარდება სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები, დარგობრივი სემინარები და პროექტები, რომლებშიც სტუდენტებს აქვთ საშუალება მიიღონ მონაწილეობა. ინფორმაციას ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციების, გაცვლითი პროგრამების და სხვათა შესახებ სტუდენტები იღებენ უნივერსიტეტის ვებ-გვერდიდან და ელექტრონული პლათფორმის „ჩემი UG“ დახმარებით. თუმცა, მიმდინარე ეტაპზე სტუდენტების დაინტერესება ამ მიმართულებით ნაკლებად არის, სტუდენტების მხრიდან ამის მიზეზად სახელდება დროის უქონლობა დასაქმებიდან გამომდინარე. ზოგადად, ექსპერტთა ჯგუფის თხოვნის საფუძველზე, უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამიდან 2014 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან 2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ჩათვლით გაცვლით პროგრამაში მონაწილეობა მიიღო თხუთმეტმა სტუდენტმა. ეს უკანასკნელი უნივერსიტეტის პოტენციალიდან გამომდინარე, შესაძლებელია კიდევ უფრო გაიზარდოს.

ინტერვიუს შედეგების საფუძველზე ასევე დასტურდება, რომ უნივერსიტეტში პერიოდულად ტარდება სტუდენტების გამოკითხვა, რომელიც ორიენტირებულია საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურის, სასწავლო კურსების შინაარსის, მათი სათანადო ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფის დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის პერიოდულ შეფასებაზე. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს შესაბამისი გამოკითხვის შედეგებიც. სასურველია სტუდენტებს ჰქონდეთ მეტი ინფორმაცია ამ შედეგების გამოყენების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- ელექტონული სერვისების სისტემა, იხ. ბმული: https://my.ug.edu.ge/login;
- სამაგისტრო სწავლების დებულება, იხ. ბმული: https://ug.edu.ge/storage/documentations/May2022/H54ZFyu64GxFoNqmu8Qx.pdf;
- ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების და კურსდამთავრებულებების გამოკითხვის შედეგები;
- სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, დაწესებულებამ/ფაკულტეტმა პროგრამის ფარგლებში აამოქმედოს დამატებითი სტიმულირების მექანიზმები, რათა ხელი შეუწყოს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში, საერთაშორისო კონფერენციებში.
- სასურველია სტუდენტებს ჰქონდეთ მეტი ინფორმაცია გამოკითხვათა შედეგების გამოყენების შესახებ.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს

სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტში სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შესრულების, დაცვისა და შეფასების ინსტრუქცია და სხვ. გაწერილია შემდეგ დოკუმენტაციაში: სამაგისტრო სწავლების დებულება, საკვალიფიკაციო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების და შეფასების წესი (იხ. ბმული: https://ug.edu.ge/storage/documentations/April2021/jPnzDeHUGFzo9MD6CgLh.pdf), საუნივერსიტეტო ნაშრომის APA სტილის მოთხოვნათა დაცვით გაფორმების შესახებ ინსტრუქცია (იხ. ბმული: https://ug.edu.ge/storage/documentations/April2021/TJHQVtWNFgnWjbVtH2TR.pdf). სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შეფასება ხორციელდება საბჭოს თავჯდომარისა და ექსპერტის მიერ ინდივიდუალურად. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შეფასება წარმოადგენს საკვალიფიკაციო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების და შეფასების წესით გათვალისწინებული თითოეული კომპონენტის საშუალო არითმეტიკულ ქულათა ჯამს. უშუალოდ სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შეფასების შესახებ დეტალურ ინფორმაციას ვკითხულობთ დოკუმენტში „საკვალიფიკაციო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების და შეფასების წესი“. სამწუხაროდ, ზემოთ აღნიშნულ დოკუმენტაციაში არ არის მითითებული თუ ვინ შეიძლება იყოს მაგისტრანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი? რამდენ მაგისტრანტს შეუძლია უხელმძღვანელოს ერთმა პირმა? ზოგადად, სამაგისტრო თემის არჩევა ხდება მაგისტრის ინტერესებიდან გამომდინარე, ხელმძღვანელთან შეთანხმებით. ნაშრომის თემასა და ხელმძღვანელს ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო შესაბამისი დარგობრივი დეპარტამენტის წარდგენით.

ხელმძღვანელის გამოყოფის დროს ხდება პერსონალის კვალიფიკაციის და საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილების გათვალისწინება. სამაგისტრო თემის ხელმძღვანელები არიან კვალიფიციური დარგის სპეციალისტები, რაც დასტურდება პერსონალის CV-ებით, მათი პრაქტიკული სამუშაო გამოცდილებით, თუმცა ექსპერტთა ჯგუფის აზრით, მნიშვნელოვანია გაძლიერდეს სამეცნიერო კომპონენტი (გამოქვეყნებული ნაშრომებით და კონფერენციებში მონაწილეობით) აკადემიური პერსონალისთვის.

კურსდამთავრებულებთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ ნაშრომის წერის პროცესი ორივე მხარის კონსტრუქციული თანამშრომლობით მიმდინარეობდა, ხელმძღვანელები გარკვეული ინტენსივობით ხვდებოდნენ მაგისტრანტებს და აძლევდნენ უკუკავშირს და კონსულტაციას.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და აკადემიურ პერსონალთან, კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების დროს დადასტურდა, რომ დაწესებულებას აქვს პლაგიატის ამომცნობი სისტემა, რომელიც გამოიყენება ნაშრომების შემოწმებისას. ყველა დაცული სამაგისტრო ნაშრომი შემოწმებულია Turnitin-ის პროგრამაში. სტუდენტები ფლობდნენ ინფორმაციას აღნიშნულთან დაკავშირებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- სამაგისტრო სწავლების დებულება, იხ. ბმული: https://ug.edu.ge/storage/documentations/May2022/H54ZFyu64GxFoNqmu8Qx.pdf;
- საკვალიფიკაციო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების და შეფასების წესი, იხ. ბმული: https://ug.edu.ge/storage/documentations/April2021/jPnzDeHUGFzo9MD6CgLh.pdf;
- საუნივერსიტეტო ნაშრომის APA სტილის მოთხოვნათა დაცვით გაფორმების შესახებ ინსტრუქცია, იხ. ბმული: https://ug.edu.ge/storage/documentations/April2021/TJHQVtWNFgnWjbVtH2TR.pdf;
- აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკა, იხ. ბმული: https://www.ug.edu.ge/ge/sauniversiteto-debuleba-full/155;
- მაგისტრატურის ხელმძღვანელთა შესახებ ინფორმაცია, დართული სამაგისტრო პროგრამაზე (განხორციელებული კვლევები, გამოცდილება), უნივერსიტეტის ვებგვერდზე არსებული ინფორმაცია პერსონალის შესახებ;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;
- სტუდენტებთან/კურსდამთავრებულებთან ინტერვიუები;
- აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია სამაგისტრო სწავლების დებულებაში გაიწეროს თუ რამდენ მაგისტრანტს შეუძლია უხელმძღვანელოს ერთმა პირმა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე,

სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
პერსონალის მართვის ზოგადი წესები და პრინციპები გაწერილია საქართველოს უნივერსიტეტის პერსონალის დებულებაში: ug.edu.ge/storage/documentations/December2021/PgNaxTQYjHFpwyOnuihX.pdfსწორედ ზემოაღნიშნული დებულების თანახმად ხორციელდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის შერჩევა და ჩართვა პროგრამაში. კერძოდ, აკადემიური თანამდებობების დაკავება ხდება ღია კონკურსის წესით გამჭვირვალობის, თანასწორობის და სამართლიანი კონკურენციის პრინციპით „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების დაცვით; ხოლო პროგრამის საჭიროებებიდან გამომდინარე მოწვეული პერსონალის კანდიდატურის მოძიებას და მათი სამსახურში აყვანის ინიცირებას შესაბამისი დეპარტამენტის უფროსთან/სკოლის დირექტორთან შეთანხმებით ახდენს პროგრამის ხელმძღვანელი (აკადემიური დეკანი). პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის შესაბამისი კვალიფიკაცია, პრაქტიკული და აკადემიური გამოცდილება დასტურდება მათ პირად საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტაციით (რეზიუმე, განათლების, კვალიფიკაციისა და აკადემიური ხარისხის/წოდების დამადასტურებელი დოკუმენტაცია). აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობა დასტურდება მათი პირადი საქმეების შესწავლის შედეგად. მოწვეულ პერსონალს გააჩნია კერძო ბიზნესსა თუ საჯარო სექტორში საქმიანობის მრავალწლიანი გამოცდილება, ასევე, დასტურდება მათი აკადემიური საქმიანობა სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში. თუმცა, სამეცნიერო საქმიანობის კუთხით აკადემიური პერსონალის პირადი საქმეების შესწავლისას ფიქსირდება შემდეგი გარემოება: ერთი აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობა შემოიფარგლება 2 სამეცნიერო სტატიით; მეორე აკადემიური პერსონალის შემთხვევაში არ ფიქსირდება უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში სამეცნიერო კვლევითი აქტივობები; ხოლო მესამე აკადემიური პერსონალი აქტიურად არის ჩართული სამეცნიერო საქმიანობაში. საქართველოს უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია სულ 19 აკადემიური და მოწვეული პერსონალი: 3 აკადემიური (მათ შორის 3 პროფესორი და 0 ასოცირებული პროფესორი) და 16 მოწვეული პერსონალი. ამგვარად პროგრამის განმახორციელებელი პირებიდან 16% -ია აკადემიური პერსონალი, ხოლო 84 % მოწვეული პერსონალი. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის თანაფარდობა არის 1/5-ზე. დაწესებულება მიიჩნევს, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობის არსებული მდგომარეობა საჭიროებს გაუმჯობესებას, რაც დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშში არის მოცემული, კერძოდ თვითშეფასების ანგარიშის 33 გვერდზე გასაუმჯობესებელ მხარეების სექციაში ვკითხულობთ: ,,პროგრამის გასაუმჯობესებელ მხარეებს აღნიშნული მიმართებით წარმოადგენს აკადემიური პერსონალის ჩართვა და მათი რაოდენობის ზრდა პროგრამაში“. ამას გარდა, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში არსად არ ჩანს პარტნიორი უნივერსიტეტის მხრიდან პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის ვინაობა და ის თუ ვინ რა საგანს წაიკითხავს. საქართველოს უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის წესი, რომელიც გაწერილია საქართველოს უნივერსიტეტის პერსონალის დებულებაში. უნივერსიტეტში სრულ განაკვეთზე აკადემიური პერსონალი

დასაქმებულია კვირაში 40 საათი (ყოველდღიურად 8 საათი), ნაწილობრივ განაკვეთზე კი დასაქმებულია საათობრივი დატვირთვისა და ანაზღაურების პრინციპით. ნაწილობრივი განაკვეთით დასაქმებულ პირზე ვრცელდება აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა მისი დატვირთვის პროპორციულად. სასწავლო დატვირთვის გარდა ის ვალდებულია გამოყოს ყოველკვირეული საკონსულტაციო საათები (ყოველკვირეულად მოიცავს მინიმუმ ორ საათს) და სკოლის დირექტორთან/დეპარტამენტის უფროსთან (დსპ-ის შემთხვევაში ადმინისტრაციულ დეკანთან) შეთანხმებით მონაწილეობა მიიღოს საუნივერსიტეტო ღონისძიებებში. აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის ინდივიდუალური დატვირთვა განისაზღვრება სასწავლო წელზე გათვლილი დატვირთვის სქემით, რომელსაც სკოლის საბჭოზე დასამტკიცებლად წარადგენს დეპარტამენტის უფროსი ან სკოლის/დეპარტამენტის ბაზაზე არსებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი. დატვირთვა სრულ განაკვეთზე შეადგენს წელიწადში 1760 საათს (კვირაში 40 საათს, 44 კვირის განმავლობაში) და მოიცავს:

- სასწავლო საქმიანობა
- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა
- კონსულტაციები
- საუნივერსიტეტო ღონისძიებებში მონაწილეობა

მუდმივი ადმინისტრაციული ფუნქციის შეთავსების შემთხვევაში, აკადემიური პერსონალის სავალდებულო დატვირთვა მცირდება 50 პროცენტით. აკადემიური და სამეცნიერო თანამდებობების შეთავსების შემთხვევაში, პერსონალის აკადემიური დატვირთვა განისაზღვრება სკოლის საბჭოზე. სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ინტენსიური ფაზის არსებობის შემთხვევაში, მუდმივი აკადემიური პერსონალი, რომელსაც არ გააჩნია სამეცნიერო თანამდებობა, სამ წელიწადში ერთხელ, ერთი სემესტრით სრულად ან ნაწილობრივ შესაძლებელია გათავისუფლდეს სასწავლო პროცესიდან (სასწავლო დატვირთვა გაუთანაბრდეს სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში დასაქმებული მეცნიერ-მუშაკის დატვირთვას). პროგრამის განხორციელებაში ჩართული ყველა ლექტორი მზად არის სტუდენტებს ჩაუნიშნოს დამატებითი საკონსულტაციო საათები საჭიროების შემთხვევაში.

საქართველოს უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დებულება (ug.edu.ge/ge/sauniversiteto-debuleba-full/101), რომელშიც გაწერილია პროგრამის ხელმძღვანელის (აკადემიური დეკანის) დანიშვნის წესი და მისი უფლება-მოვალეობები.

ზემოაღნიშნული დებულების თანახმად საქართველოს უნივერსიტეტში აკადემიური კუთხით ყველა პროგრამის მართვას და განვითარებას უზრუნველყოფს პროგრამის ხელმძღვანელი (აკადემიური დეკანი). პროგრამის ხელმძღვანელის (აკადემიური დეკანი) კანდიდატურა დეპარტამენტის უფროსის წარდგინებით მტკიცდება სკოლის საბჭოს მიერ და შესაბამისად იგი ექვემდებარება დეპარტამენტის უფროსს. ახალი თანამშრომლის აყვანა ხდება პერსონალის დებულებით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

სასწავლო პროგრამას ხელმძღვანელობს მოწვეული ლექტორი რომელიც ამავე სასწავლო პროგრამის ფარგლებში უძღვება საგანს „პიროვნული უნარები და თვისებები მეწარმეებისთვის“. პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმის შესწავლით დგინდება, რომ მას აქვს მრავალწლიანი გამოცდილება როგორც მეწარმეობის, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სფეროში, ასევე სტარტაპების მიმართულებით. დღესდღეობით იგი არის ITU (International Telecommunication Union) ექსპერტი ინოვაციებისა და ტექნოლოგიური ტრანსფერის მიმართულებით და ხელმძღვანელობს ტექნოლოგიებისა და სტარტაპების მიმართულებით საკონსულტაციო კომპანია მომავლის ლაბორატორიას, რომლის მიზანია სტარტაპ ეკოსისტემის გაძლიერება, მეწარმეობის ხელშეწყობა. მომავლის ლაბორატორიისა და საქართველოს უნივერსიტეტის საერთო პროექტია საქართველოს უნივერსიტეტის ინოვაციების ცენტრი, რომელსაც მომავლის ლაბორატორია უწევს მენეჯმენტირებას და საიდანაც დაიბადა ინიციატივა სასწავლო პროგრამის ფორმირებისა. პროგრამის

ხელმძღვანელი მუდმივ კონტაქტზეა სტუდენტებთან და მუდმივად ეხმარება მათ განვითარებაში.

სასწავლო პროგრამის განხორციელებაში სტუდენტთა მომსახურების მიზნით აქტიურად არის ჩართული ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურში ამჟამად დასაქმებულია 14 თანამშრომელი, ბიბლიოთეკაში - 6, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში - 5 თანამშრომელი, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურში - 7 თანამშრომელი, სტუდენტურ საქმეთა ცენტრში - 2 თანამშრომელი. გარდა ზემოაღნიშნული თანამშრომლებისა, უნივერსიტეტს დაკომპლექტებული ჰყავს ე.წ. front desc, რომელიც წარმოადგენს წინა ხაზის რგოლს პასუხობს სტუდენტების და ლექტორების პირველად მოთხოვნებს, აღნიშნული რგოლის მეშვეობით სტუდენტს შეუძლია პირისპირ მიმართოს შემდეგი სამსახურების თანამშრომლებს: ფინანსური სამსახური, კანცელარია, სწავლების მენეჯერი, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს უნივერისტეტის HR პოლიტიკის შესაბამისად, უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურში, ბიბლიოთეკაში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში, ადამიანური კაპიტალის სამსახურში, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურში, სტუდენტურ საქმეთა ცენტრში, იურიდიულ სამსახურში, IT სამსახურში და ა.შ. პერსონალის უდიდეს ნაწილს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები წარმოადგენენ.

რაც შეეხება პერსონალის დენადობის მაჩვენებელს, ადმინისტრაციულ პერსონალში ნებაყოფლობითი დენადობა არ სცდება 15%, რაც მიუთითებს პერსონალის შენარჩუნების 85%.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პერსონალის დებულება;
- საგანმანათლებლო პროგრამის დებულება;
- სამაგისტრო პროგრამა და სილაბუსები;
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი;
- პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის პირადი საქმეები;
- პროგრამის ხელმძღვანელების პირადი საქმე;
- გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია პროგრამის განხორციელება დაიწყოს გაზრდილი აკადემიური პერსონალით, მდგრადობასთან დაკავშირებული რისკების შემცირების მიზნით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია წარმოდგენილ დოკუმენტებში ჩანდეს პარტნიორი

უნივერსიტეტის მხრიდან პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის ვინაობა და ის თუ ვინ რა საგანს წაიკითხავს.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
საქართველოს უნივერსიტეტი პერიოდულად აწარმოებს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის სასწავლო და აკადემიური საქმიანობის მონიტორინგს (შეფასება და შედეგების ანალიზი). პროგრამაში ჩართული პერონალის შეფასების კომისია შედგება მუდმივი და სპეციალური წევრებისგან. მუდმივი წევრები არიან უნივერსიტეტის რექტორი, პროგრამის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და ადამიანური კაპიტალის სამსახურის წარმომადგენლები. თანამშრომლის შეფასების კომისიის სპეციალური წევრების მოწვევა ხდება უნივერსიტეტის რექტორის გადაწყვეტილებით. პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასება ხდება ასევე სტუდენტიების გამოკითხვის საშუალებით. კერძოდ, სტუდენტების ელექტრონული გამოკითხვის საფუძველზე ხდება ლექტორების საქმიანობის უკუკავშირის მიღება და შესაბამისი რეაგირება. აღნიშნული შედეგების განხილვა ხდება კომისიაზე. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებები. მაგალითად, ბერკლისთან მოლაპარაკების საფუძვენლზე პროგრამაში ჩართულ რამოდენიმე ლექტორს შეეძლება უნივერსიტეტში ვიზიტი, მეთოდოლოგიის ადგილზე გაცნობა და ლექციებზე დასწრება. პერსონალი ინფორმირებულია მათი სამეცნიერო საქმიანობის მხარდაჭერისა და

წახალისების შესახებ. უნივერსიტეტი ახორციელებს სხვადასხვა სამეცნიერო ჟურნალებში სტატიების დაბეჭდვის, კონფერენციებში მონაწილეების და სხვა სამეცნიერო აქტივობების როგორც თანადაფინანსებას ასევე სრულ ფინანსურ მხარდაჭერას. უსდ-ში აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელის შესაწყობად შექმნილია აუცილებელი პირობები (მატერიალური, ფინანსური რესურსები, და სხვა). საქართველოს უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დებულების საფუძველზე ფუნქციონირებს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. იგი წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს, რომლის მიზნებს წარმოადგენს:

- სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შიდა (საუნივერსიტეტო) და გარე დაფინანსებასთან დაკავშირებული საქმიანობის მართვა და კოორდინაცია;
- სამეცნიერო-კვლევითი პროექტების მოზიდვისა და განხორციელების ხელშეწყობის მიზნით საერთაშორისო, რეგიონულ და ადგილობრივ ორგანიზაციებთან, სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციებთან ურთიერთობის დამყარება და ამ მიმართულებით უნივერსიტეტის საქმიანობის კოორდინაცია;
- უნივერსიტეტის ფარგლებში მიმდინარე/განსახორციელებელი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების მართვის ხელშეწყობა და კოორდინაცია, სამეცნიერო კვლევების სასწავლო პროცესთან ინტეგრაციის ხელშეწყობა.

შესაბამისად აღნიშნული ინსტიტუტის ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენს:

- ✓ უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის/პროექტების ეფექტური და შეუფერხებელი განხორციელებისათვის საჭირო სხვადასხვა ღონისძიების დაგეგმვა, ადმინისტრირება და ჩატარების ხელშეწყობა (სამეცნიერო გრანტები, ერთობლივი სამეცნიერო კვლევები, შესაბამისი სფეროს სპეციალისტების/მეცნიერების მოწვევა ლექცია-სემინარების ჩატარების მიზნით, კონფერენციებისა და სემინარების ორგანიზება, საერთაშორისო კონფერენციებში უნივერსიტეტის პერსონალის მონაწილეობის მხარდაჭერა და სხვ.);
- ✓ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩართული უნივერსიტეტის პერსონალის მობილობის ხელშეწყობა (საზღვარგარეთ ლექცია-სემინარებსა და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობის ხელშეწყობა), სამეცნიერო მივლინებების დაგეგმვა, ინიცირება, მათი დაფინანსების წინადადებების წარდგენა უნივერსიტეტის შესაბამისი ერთეულებისათვის;
- ✓ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შიდა (საუნივერსიტეტო) დაფინანსებასთან დაკავშირებული პროექტების შემუშავება-ინიცირება;
- ✓ სამეცნიერო-კვლევითი პროექტების მიერ უნივერსიტეტის დაფინანსების (შიდა გრანტის) მოსაპოვებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება (პროექტების რეგისტრაცია, საკონკურსო პირობების განსაზღვრა, კონკურსის/შერჩევის ეტაპების ჩატარების ხელშეწყობა, პროექტების შეფასების ინდიკატორების შემუშავება და სხვა);
- ✓ სამეცნიერო-კვლევითი პროექტების მიერ გარე დაფინანსების (გრანტების) მოპოვების ხელშეწყობა, დაფინანსების მოპოვების საკითხებთან დაკავშირებით, კონსულტაციების გაწევა უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩართული პირებისთვის;
- ✓ უნივერსიტეტის ერთეულების მიერ/მათი მონაწილეობით შექმნილი

სახელმძღვანელოების გამოცემის მიზანშეწონილობის/საჭიროების საკითხის განხილვა და მათი გამოცემის ინიცირება/ვიზირება; ✓ სამეცნიერო პუბლიკაციებისათვის პრემიის გაცემისა და ჟურნალის შერჩევის პირობების განსაზღვრა. სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნების შემთხვევაში, აღნიშნული ინსტიტუტის ბიუჯეტიდან გაიცემა პრემია, რომლის მისაღებად აუცილებელი წინაპირობები გაწერილია სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დებულების №1 დანართში. პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი მონაწილეობს საერთაშორისო პროექტებში, კვლევებსა და კონფერენციებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ○ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები; ○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები და თანდართული დოკუმენტები; ○ პერსონალის დებულება; ○ სამეცნიერო -კვლევითი ინსტიტუტის საქმიანობის წესი ○ უსდ-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები; ○ საერთაშორისო ან/და სამეცნიერო/კვლევით პროექტებში კონფერენციებში, კვლევებსა და ღონისძიებებში პერსონალის ჩართულობის მაჩვენებელი; ○ საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (გამოქვეყნებული შრომები, გაცვლითი და/ან ერთობლივი პროგრამები, ორმხრივი შეთანხმებები, მემორანდუმები, და სხვა).
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სამაგისტრო პროგრამის ადმინისტრირება და პროგრამის ფარგლებში სასწავლო კურსების განხორციელება ხორციელდება ადმინისტრაციულ და სასწავლო კორპუსში (მისამართი: თბილისი, კოსტავას 77ა, საქართველოს უნივერსიტეტის IV კორპუსი). სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლების პროცესისთვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით, გამოყოფილია სათანადო ინვენტარითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით, შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის კომპიუტერებით და პროექტორებით აღჭურვილი აუდიტორიები, კომპიუტერული კლასები, საგამოცდო ცენტრი, ბიბლიოთეკა. პრაქტიკული, კვლევითი და მეწარმული უნარების გაუმჯობესების მიზნით საქართველოს უნივერსიტეტში მოქმედებს ინოვაციების ცენტრი ე.წ. „Startup Factory". იგი მოიცავს თანამედროვე სტანდარტების მყუდრო გარემოს სამუშაო და საქმიანი შეხვედრებისთვის, რომელიც ფუნქციონირებს 24/7-ზე. მასში შესაძლებელია 40-მდე ადამიანის განთავსება; Startup Factory მუდმივად ატარებს შეხვედრებს, Startup Talk-ებს როგორც ინგლისურ, ასევე ქართულ ენაზე. სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ ინოვაციების ცენტრში არსებული მატერიალური რესურსებით (საერთო სამუშაო სივრცე, ტექნიკური აღჭურვილობა, წვდომა საგანმანათლებლო რესურსებზე: ვიდეო ლექციები, ჩანაწერები, ონლაინ ლიტერატურა), რომელსაც გამოიყენებენ პრე-აქსელერაციის, აქსელერაციის და სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პერიოდში სტარტაპზე მუშაობისას. უნივერსიტეტში მოქმედებს სამეცნიერო ჟურნალი „Caucasus Journal of Social Sciences.", სადაც სტატიების გამოქვეყნება საქართველოს უნივერსიტეტის სამაგისტრო საფეხურის სტუდენტებისთვის უფასოა. პროგრამის სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები. ბიბლიოთეკა თანამშრომლობს საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებთან (ბაზები მითითებულია საიტზევე). სტუდენტებს და პერსონალს აქვთ წვდომა შემდეგ საერთაშორისო ელექტრონულ ბიბლიოთეკებთან: HINARI, Cochranelibrary, Scopus, EBSCO, JSTOR, Science Direct და Hein Online. ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: ug.edu.ge/library. ბიბლიოთეკაში

დაცულია სილაბუსებში მითითებული, როგორც აუცილებელი, ასევე დამხმარე ლიტერატურის წიგნადი ფონდი.

უნივერსიტეტი ახორციელებს სამედიცინო დახმარებას, რომლის განხორციელებასაც უზრუნველყოფს სამედიცინო და სადაზღვევო სამსახური.

უსაფრთხოების დაცვის მიზნით, საქართველოს უნივერსიტეტის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას უნივერსიტეტის ტერიტორიაზე. დაკისრებული მოვალეობების შესრულებისას სამსახური იყენებს სამეთვალყურეო კამერებს, თანამშრომლობს დაცვის პოლიციასთან. უზრუნველყოფს უნივერსიტეტის შენობისა და საუნივერსიტეტო ინვენტარის დაცვას, უცხო პირთა შემოსვლის კონტროლს უნივერსიტეტის შენობაში, სტუდენტთა უნივერსიტეტში შემოსვლისა და უნივერსიტეტიდან გასვლის კონტროლს საშვების საშუალებით, უნივერსიტეტში ვიზიტორების შემოსვლისა და გასვლის კონტროლს.

უსდ-ს შექმნილი აქვს სტუდენტთა საგამოცდო ნაშრომების გასწორების ელექტრონული სისტემა, რომელშიც დაშიფრულად აიტვირთება სტუდენტების დასკანერებული ნამუშევრები, რის შემდეგაც ლექტორები კონკრეტული, წინასწარგანსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით ასწორებენ საგამოცდო ნამუშევრებს, რის საფუძველზეც დგინდება საერთო შედეგი, რომელიც ელექტრონულად აისახება სტუდენტის პერსონალურ საინფორმაციო პორტალზე. ადმინისტრაციას საშუალება აქვს მეთვალყურეობა გაუწიოს რამდენად გულისხმიერად და ყურადღებით ასწორებს ნამუშევრებს თითოეული ლექტორი.

საქართველოს უნივერსიტეტში დანერგილია სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემა, რომლის დახმარებითაც ხდება სტუდენტთა ინფორმირებულობა და აკადემიური მოსწრების მონიტორინგი. კერძოდ, სტუდენტისათვის ხელმისაწვდომია მათ პირად გვერდზე (ელექტონული სერვისების სისტემა, ელექტრონული პლათფორმა „ჩემი UG“ (იხ. ლინკი: my.ug.edu.ge/login). იგი წარმოადგენს სტუდენტს, ადმინისტრაციასა და პროფესორ-მასწავლებლებს შორის გამარტივებულ ოფიციალურ საკომუნიკაციო საშუალებას. აღნიშნული შიდა საუნივერსიტეტო საინფორმაციო პორტალი იძლევა როგორც ადმინისტრაციული საკითხების (ცნობის მიღება/გაგზავნა, განცხადების, საჩივრის დაწერა და ა.შ.) მოგვარების, ისე სალექციო-საგამოცდო პროცესის ელექტრონულად, დისტანციურად წარმართვის, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის (საგანმანათლებლო პროგრამა, სილაბუსები, შეფასებები, საგამოცდო ცხრილი, და ა.შ.) მიღების, სასწავლო პროცესის დაგეგმვა/წარმართვის (კომპონენტზე აკადემიური რეგისტრაცია, ნაშრომების ატვირთვა, ლექტორისგან სასწავლო მასალების მიღება და ა.შ.) და სტუდენტურ ცხოვრებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ინფორმაციის (კონფერენციები, ღონისძიებები, სტუდენტური კლუბები და მათი აქტივობები) მიღების საშუალებას.

უნივერსიტეტში სტუდენტები პოტენციური დამსაქმებლებისა თუ ვაკანსიების შესახებ ინფორმაციას იღებენ უნივერსიტეტის ვებ-გვერდის და „ჩემი UG“ სიახლეებიდან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ადგილზე დათვალიერება;
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ადგილზე დათვალიერება;
- ბიბლიოთეკის კატალოგი და ბიბლიოთეკაში წარმოდგენილი სახელმძღვანელოები

და სხვა სასწავლო მასალა; ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი; ○ ელექტრონული ბაზები; ○ ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
პროგრამის ბიუჯეტში გაწერილია პროგრამის შემოსავლები და ხარჯები. ბიუჯეტის შესწავლის შედეგად დასტურდება, რომ პროგრამის შემოსავლები მიღწევადია და ხარჯები შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს. თუმცა აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობების და პროფესიული განვითარების მიზნით აქტივობები ფინანსდება დაწესებულების ერთიანი ბიუჯეტიდან. კერძოდ, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბიუჯეტი ნაწილდება სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების განსახორციელებლად და

მოიცავს მის უშუალო დაქვემდებარებაში შემავალი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და შიდა გრანტების დაფინანსებას; აღნიშნული გულისხმობს კონფერენციების ორგანიზების დაფინანსებას, კონფერენციებში მონაწილე პირების დაფინანსებას, სტატიების მომზადებასა და გამოქვეყნების დაფინანსებას, მივლინებებში მონაწილე პერსონალის დაფინანსებას, წარმომადგენლობითი ხარჯების დაფინანსებას და სხვ. პროგრამის ბიუჯეტის ფინანსური გათვლები ეყრდნობა პროგრამის მიხედვით აღებულ შემდეგ მონაცემებს: ● სწავლებისა და პრაქტიკული მეცადინეობისათვის საჭირო საკონტაქტო საათებს; ● სალექციო საათების ანაზღაურებას; ● სწავლების პროცესში სტუდენტის მატერიალურ მხარდაჭერას; ● პროგრამის მანძილზე დასაშვებ გაუთვალისწინებელი ხარჯს. ● მარკეტინგის ხარჯს; ● ადმინისტრაციული პერსონალის სახელფასო ხარჯს; ● და სხვას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი; ○ ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
საქართველოს უნივერსიტეტში ხარისხის შიდა უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს კოორდინირებას უწევს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 8 მაისის 28/18 ოქმის საფუძველზე დამტკიცებული „ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქციის“ შესაბამისად. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით ცალკეული პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით სკოლის აკადემიური საბჭო ამტკიცებს „პროგრამის განვითარების საბჭოს“ შემადგენლობას. სხვა წევრებთან ერთად, საბჭოს მუდმივი წევრები არიან კონკრეტული პროგრამის ხელმძღვანელი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელი. ხარისხის უზრუნველყოფა მოქმედებს „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე“ ციკლის შესაბამისად და გამოიყენება შემდეგნაირად: (1) პროგრამის შემუშავება და დამტკიცება, (2) განხორციელება სასწავლო გეგმის მიხედვით; (3) მონიტორინგი, შეფასება და ანალიზი (სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვა, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შედეგების ანალიზი და ა.შ.); (4) შედეგების გათვალისწინება და პროგრამის მოდიფიცირება. პროგრამების შედეგების შეფასებისათვის გამოიყენება სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. შეფასება ხორციელდება პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდების გამოყენებით. პროგრამის შედეგების **პირდაპირი შეფასება** - ხორციელდება სტუდენტების მიერ პროგრამით განსაზღვრული კურსების სწავლის შედეგების მიღწევის შემოწმებით, რათა მოხდეს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის დონის გაზომვა. მიღებული შედეგების საშუალებით, პროგრამის სწავლის შედეგების კომპეტენციების დახვეწა/მოდიფიცირება.

პროგრამით განსაზღვრული კურსების სწავლის შედეგების შემოწმება, გაზომვა და ანალიზი ხდება სემესტრის განმავლობაში, სტუდენტის ცოდნის შეფასებისთვის საქართველოს უნივერსიტეტის დებულებით განსაზღვრულია შუალედური და დასკვნითი შეფასებები. პროგრამის შედეგების **არაპირდაპირი შეფასება** - ხდება სტუდენტის და დაინტერესებული პირების გამოკითხვის გზით. პროგრამის შედეგების შეფასების არაპირდაპირი ფორმებია: • დამსაქმებლების კითხვარი • კურსდამთავრებულების კითხვარი • პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კითხვარი • კონფერენციები, სამეცნიერო აქტივობა (მაგისტრები) • საერთაშორისო პროექტების შედეგების ანალიზი • ბაზრის კვლევა მოპოვებული ინფორმაციის შედეგების გათვალისწინებით ხდება მონაცემების დამუშავება, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა, პრობლემების იდენტიფიცირება, მათი გადაწყვეტის გზების შერჩევა. თვითშეფასების ანგარიშიდან და ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩატარებული ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ პროგრამის შემუშავება განხორციელდა აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობით, ასევე განხორციელდა შრომის ბაზრის კვლევა, ქართული და უცხოური მსგავსი პროგრამების ანალიზი, საერთაშორისო პარტნიორის რეკომენდაციების გამოყენება. უნივერსიტეტში მოქმედი პროგრამების განვითარებისა და სწავლების პროცესის გაუმჯობესების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ტარდება სხვადასხვა ღონისძიებები და ტრენინგები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ მეწარმეობა და ინოვაციების სამაგისტრო პროგრამა; ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქცია; ○ საგანმანათლებლო პროგრამის დებულება; ○ ანალოგიური პროგრამების შედარებითი ანალიზი; ○ პოტენციური დამსაქმებლების კვლევის ანალიზი; ○ შრომის ბაზრის კვლევის ანგარიში; ○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვლევის ანგარიში; ○ სტუდენტთა კვლევის ანგარიში; ○ კურსდამთავრებულთა კვლევის ანგარიში; ○ ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუები;
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
საქართველოს უნივერსიტეტი აქტიურად იყენებს გარე შეფასების ინსტრუმენტებს პროგრამული აკრედიტაციისთვის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების მომზადების პროცესში. ის თანამშრომლობს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან. გარდა ავტორიზაცია/აკრედიტაციის დროს განხორციელებული გარე შეასებისა, უნივერსიტეტი თანამშრომლობს ადგილობრივ და საერთაშორისო დარგის ექსპერტებთან პროგრამის შესაფასებლად. მეწარმეობისა და ინოვაციების ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის შეფასება განხორციელდა ერთი ადგილობრივი და ერთი საერთაშორისო შემფასებლის მიერ. არცერთი შემფასებელი არ იყო შესაფასებელი პროგრამის წარმომადგენელი, არ წარმოადგენდა დაინტერესებულ მხარეს და გააჩნდათ შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციები. ორივე შემფასებელი აღნიშნავს, რომ პროგრამა არის აქტუალური, საინტერესო და წარმოდგენილი სასწავლო კურსები პასუხობს ბაზრის მოთხოვნებს. არცერთ შეფასებაში არ გვხვდება გასაუმჯობესებელი მხარეების აღწერა. გამოხმაურებები არის ზოგადი და შესაბამისად ნათელ სურათს პროგრამის შეფასების ნაწილში არ გვაძლევს. სასურველია, გარე შეფასებებით მოხდეს გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება, შეფასებები იყოს უფრო დეტალური, სიღრმისეული და გვაძლევდეს

ნათელ სურათს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ მეწარმეობა და ინოვაციების სამაგისტრო პროგრამა; ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ გარე შეფასება ექსპერტების მიერ; ○ ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია, გარე შეფასებებით მოხდეს გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება, შეფასებები იყოს უფრო დეტალური, სიღრმისეული და გვაძლევდეს ნათელ სურათს.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების,

კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
საქართველოს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის, შეფასებისა და გაუმჯობესების მექანიზმები, მათ შორის ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქცია და პროგრამის დებულება. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასება, ძირითადად, ხდება სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვით და სასწავლო პროცესის მონიტორინგის გზით. პროგრამის გაუმჯობესების მიზნით უნივერსიტეტში თითოეული სკოლის მიერ ხდება პროგრამის განვითარების საბჭოს ფორმირება. საბჭოს მუდმივი წევრები არიან კონკრეტული პროგრამის ხელმძღვანელი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელი. საბჭოს საქმიანობა გულისხმობს კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციების შეკრება და იდენტიფიცირებას, შეკრებილი და იდენტიფიცირებული კვლევის შედეგების ანალიზსა და შეფასებას, ანალიზისა და შეფასების საფუძველზე კონკრეტული პროგრამის სწავლის შედეგებთან მიმართებაში დასკვნების გაკეთებას, რაშიც იგულისხმება, როგორც არსებული სწავლის შედეგების კომპონენტების დახვეწა, ისე პროგრამაში ახალი კომპონენტის გაჩენა. ხარისხის უზრუნველოფის სამსახური ყოველი სემესტრის ბოლოს ახორციელებს სტუდენტების მიერ სასწავლო კურსებისა და ლექტორების შეფასებას კითხვარების საშუალებით. ხორციელდება სტუდენტთა კმაყოფილების ანალიზი. პირდაპირი მექანიზმებით პროგრამის შედეგების შეფასება ხორციელდება არანაკლებ 1 წელიწადში ერთხელ; არაპირდაპირი მექანიზმებით პროგრამის შედეგების შეფასება ხორციელდება არანაკლებ 3 წელიწადში ერთხელ. ინტერვიუებიდან დასტურდება მეწარმეობა და ინოვაციების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობა, თუმცა ბუნდოვანია საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მიზნით ჩატარებული შეხვედრების დროს დაფიქსირებული რეკომენდაციები/რჩევები. აღნიშნულ პროცესში ჩართულობას ადასტურებს ყველა დაინტერესებული მხარე ინტერვიუების დროს. გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამა ითვალისწინებს (არჩევის შემთხვევაში) სასწავლო კომპონენტის საზღვარგარეთ, კერძოდ აშშ-ში გავლას, მნიშვნელოვანია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი ითვალისწინებდეს აღნიშნული პროგრამის სპეციფიკას. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის და ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩატარებული ინტერვიუების შემდეგაც ბუნდოვანი რჩება საკითხი, თუ როგორ ხდება აშშ-ში მიღებული გამოცდილების ეფექტურობის შეფასება და ანალიზი. ასევე, ბუნდოვანია, როგორ ხდება სტუდენტის აშშ-ში მივლინების შემთხვევაში სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შესაბამისად მიღებული სწავლის შედეგების შეფასება. უნივერსიტეტისთვის ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მექანიზმია უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატური მხარდაჭერა, აღნიშნული დასტურდება დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუებიდან, აკადემიური პერსონალის რეზიუმეებიდან და ასევე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი აკადემიური, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის

ხელშეწყობის მიზნით განხორციელებული ღონისძიებებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მეწარმეობა და ინოვაციების სამაგისტრო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქცია;
- საგანმანათლებლო პროგრამის დებულება;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები;
- პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი;
- უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან შედარების დოკუმენტი;
- ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი ითვალისწინებდეს წარმოდგენილი პროგრამის სპეციფიკას სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და შესაბამისად მიღებული სწავლის შედეგების შეფასებისას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია ანგარიშების მომზადება, სადაც აისახება დაინტერესებულ მხარეთა და ხარისხის სამსახურის მიერ გაცემულ რეკომენდაციებზე რეაგირებები.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

საქართველოს უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

მეწარმეობისა და ინოვაციების სამაგისტრო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 50

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის</u>

სახელი, გვარი, ხელმოწერა

დავით სიხარულიძე

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის</u>

სახელი, გვარი, ხელმოწერა

თორნიკე ხოშტარია

სახელი, გვარი, ხელმოწერა

თამთა ლეკიშვილი

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ბექა მარუაშვილი

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ნინო ტალიკაძე